ახალი განათლება

2009 წელი, 12 - 18 ნოემბერი

ფასი 90 თეთრი

№34 (468) გამოდის 1998 წლიდან

ეს ბუბრიკაა, ერთადერთი და განუმეორებელი

გვერდი 8-9

„დიალოგი+“-ის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერებს და
გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს „დიალოგი +“ -ის 7 ნომრის (დეკემბერ-ივნისი) გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე.

გადმორიცხვის დროს, აუცილებელია,
გარკვევით მიეთითოს
ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.

აუცილებელია, ხელმოწერები განხორციელდეს პირველ დეკემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის 7 ნომერი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი,** გამოწერის თანხა შეადგენს **7 ლარს.**

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს.**

გაზეთ „ახალი განათლების“
რედაქციის მისამართია:
თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები	**შპს „ახალი განათლება“**
მიმღები ბანკი	**სს „ბაზისბანკი“**
ბანკის კოდი	**220101956**
ანგარიშის ნომერი	**30236563**
საიდენტიფიკაციო კოდი	**202058735**

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, ”დიალოგი + ”- ის რედაქცია

„იაკობობა“ და „ილიაობა“ მთაწმინდაზე

მიმდინარე წლის ოქტომბერი მზიანი, თბილი დღეებით მიილია. იმედი ჰქონდათ, 27 ოქტომბერიც ასევე თბილი და სასიამოვნო იქნებოდა. იმედი გაუცრუვდათ. წვიმიანი და ცივი დილა გათენდა. მიუხედავად ამისა, გეგმა არ შეცვლილა. ზღვის უბნიდან მიკროავტობუსით სკოლა-გიმნაზია „გორდას“ მოსწავლეები და პედაგოგები (დირექტორი **მერი აფხაზავა**) მთაწმინდის პანთეონისაკენ გაემართნენ. აქ მათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ხელმძღვანელი, ქალბატონი **აზა ბუაძე**, ელოდებოდათ. ერთად შეამკეს ყვავილებით იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის საფლავები. დღეს ხომ ამ ორი დიდი ადამიანის დაბადების დღეა...

თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებას ბევრჯერ ეცნობა სკოლა-გიმნაზია „გორდას“ ტრადიციული ღონისძიებების შესახებ, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია „იაკობობა“. იგი ყოველწლიურად სხვადასხვა ფორმით აღინიშნება. ამჯერად ღონისძიება პანთეონში დაიგეგმა. დიდები და პატარები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ ამ დღისათვის.

იაკობის საფლავთან ლიტერატურული კომპოზიციით ერთმანეთს ცვლიდნენ პირველი და მეორე, მესამე და მეოთხე კლასელები. *„1876 წელს დიდმა იაკობმა შეადგინა და გამოსცა ქართული „დედაენა“. ცხოველი სული შთაბერა, ფეხი დაადგმევინა და შარა-შარა, შუკა-შუკა, ოდა-ოდა, სოფელ-სოფელ გაუშვა საქართველოში“*, – დაიწყეს პირველკლასელებმა (პედაგოგი **მარინე სოსიაშვილი**).

„დედაენა“ არის 33 მზის წიგნი. და ეს იმიტომ, რომ ყოველი ასო მზესავით ანათებს. იაკობი იყო ის კაცი, რომელმაც 33 მზე აანთო ყოველი ყრმის ცაზე... 33 მზით მოჭედილი, – აგრძელებენ მეორეკლასელები (პედაგოგი **ნანა ბაიაშვილი**) – *დედაენა სიბრძნის 33 კარი, ბედნიერების 33 საფეხური, მზისკენ 33 გაფრენა, 33 ჯადოსნური გზა და ბილიკია, რომელიც მიგვაფრენს ცხოვრებისა და სიბრძნის მწვერვალებისაკენ“....*

პირველკლასელებმა იციან, რომ „დედაენა“ 130 წელზე მეტი ხნისაა და ამავე დროს, მუდამ ყრმაა, მუდამ შვიდი წლისაა, პირველკლასელის ასაკისაა.

წვიმს, მაგრამ მაინც სულგანაბული უსმენდნენ **ანანო შუბლაძეს**: სევდისმომგვრელი ლაზური ბალადა „დედაენაზე“ ხომ ამაღელვებლად მოგვითხრობს მამისაგან სახსოვრად დარჩენილი „დედაენისადმი“ ლაზი ბიჭის უსაზღვრო სიყვარულსა და თავგანწირვაზე...

მესამეკლასელებმა იციან, რომ „დედაენის“ ოქროს გასაღებით – „ია“ ყველას შეუძლია გახსნას ღვთიური, ჯადოსნური სკივრი და იქ აღმოჩენილი განძის, თვალმარგალიტის მადლს ეზიაროს (პედაგოგი **ლეილა აბაშიძე**).

მეოთხეკლასელები იხსენებენ ულამაზეს მოთხრობებსა და ლექსებს – ასე უხვად რომაა ამ მშვენიერ წიგნში (პედაგოგი **ლილი პეტრიაშვილი**).

და ეს ერთი ციდები, თვალხატულა გოგო-ბიჭები, ერთხელ არ წაბორძიკებულან. მათი ბაგეებიდან ულამაზესი სტრიქონები ნაკადულებად ისე მორაკრაკებდა, ვრწმუნდებით, მათ უკვე იციან, საიდან იწყება მამულის სიყვარული... იციან: დედაენიდან იწყება ერის უკვდავება და ამიტომაც სრულიად საქართველოს წვდება მათი გადაძახილი: მუხლი მოიყაროთ „დედაენის“ წინაშე! გმადლობთ, დიდო იაკობ!

ამის შემდეგ დიდებმაც და პატარებმაც ილია ჭავჭავაძის საფლავისაკენ გადაინაცვლეს. აქ XI კლასელებმა გამართეს კონფერენცია თემაზე: „ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრე პანთეონელები“ (პედაგოგი **ჯულიეტა ჯანჯღავა**).

საბა ქამუშაძე მსმენელებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებზე ესაუბრა; **თორნიკე ანდრიაძემ** დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და თავდადება წარმოაჩინა; **ქრისტინე მარკოზიამ** ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობაზე ისაუბრა; **თამარ კბილაშვილმა** ილიასა და აკაკის ღვაწლი მიმოიხილა; ილიასა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობას, მათ თავდადებულ საქმიანობას, წერა-კითხვის საზოგადოებასთან ერთად, შეეხებოდა **დავით გურგენაძის** მოხსენება. XI კლასელებმა: **თამარ ჯავახიშვილმა, ალექსანდრე კბილაშვილმა, თეკლე ქველაძემ** ვრცლად მიმოიხილეს ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა პოეზია. **შოთა ჭოლაძემ** საინტერესოდ ისაუბრა „მთაწმინდის ისტორიული წარსულის“ შესახებ და გრიბოედოვის საფლავთან ჩამოინაცვლეს. აქ კი **თეკლე ქველაძემ, თეონა კანდელაკმა** და **თეკლე ზაკალაშვილმა** მსმენელებს უამბეს ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სამაგალითო სიყვარულის შესახებ.

ღონისძიებაზე პარტნიორი სკოლის (სკოლა-ლიცეუმი „სიხარული“) მოსწავლეებიცა და პედაგოგებიც იყვნენ მოწვეულნი, რომლებმაც, მასპინძლებთან ერთად, პატივი მიაგეს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ადამიანებს. მათი საფლავები მოინახულეს და თითო ყვავილით ყველასადმი დიდი სიყვარული გამოხატეს.

ზეიმის მონაწილეებს, ვფიქრობ, არასოდეს დაავიწყდებათ, რომ *„ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და მათმა თანამოაზრეებმა ენა ერის, ხალხის საკუთრებად აქციეს, ქართველ ხალხს თავიანთი ფიქრითა და სიხარულით, თავიანთი ტკივილითა და ოცნებებით აღსავსე ღვთიური წიგნი აჩუქეს, წიგნი, რომელიც შემდგომ ქართველი ხალხის ხმალიც, გუთანიც, ნამგალიცა და ვენახიც გახდა“....*

მარინე ვეშაპიძე
სკოლის ფსიქოლოგი

90-ე საჯარო სკოლა 30 წლისაა

3 ოქტომბერს 30-ე საიუბილეო წლისთავი იზეიმა 90-ე საჯარო სკოლამ.

1979 წლის 1 სექტემბერს აწკრიალდა 90-ე სკოლაში პირველი ზარი, რომელმაც ამ ახალ და დიდ უბანს პირველი სასწავლო წელი ამცნო.

უჩვეულო ფუსფუსმა და ღელვამ მოიცვა ყველა, დიდი და პატარა. მოირთო სკოლა, გალამაზდა დერეფნები, გამოიფინა მოსწავლეთა ნამუშევრები. ჩვეულებრივზე მეტად ნერვიულობდა სკოლის დირექტორი, ქალბატონი **თამარ მელიქიძე**. ორი წლის წინ მოვიდა ქალბატონი თამარი ამ სკოლაში და დიდი წარმატებით უძღვება მას.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად სკოლას ესტუმრნენ: რაიონის დეპუტატი ბატონი **გიორგი გოგუაძე**, რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელ ქალბატონი **ირინა გოგონაია**, გამგეობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამინისტროს წარმომადგენლები. ზეიმზე მოწვეულნი იყვნენ სკოლის ყოფილი დირექტორები: **ნანა ხიდაშელი, თემურ მარდალეიშვილი, დალი აბაშიძე,** სკოლის ყოფილი მასწავლებლები და კურსდამთავრებულები.

საღამო გახსნა ქალბატონმა **თამარ მელიქიძემ**: *„არაერთი ღირსეული მოქალაქე აღზრდილა ჩვენი სკოლის კედლებში, არაერთ ჩვენს კურსდამთავრებულს მოუხდია პირნათლად ვალი სამშობლოს წინაშე. მივესალმები ყველა სტუმარსა და პედაგოგს, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან ყველაზე რთულ და ფაქიზ საქმეს - ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას, პედაგოგებს:* ***ნარგიზა აფციაურს, მანანა ჭელიძეს, ლეილა ტოგონიძეს, მარინა ისაკაძეს, იზო კორძაძეს, ქეთევან მახარაშვილს, მაგული კიკალეიშვილს, ციცინო ზედელაშვილს, ზემფირა კერვალიძეს, ზაირა დოლენჯიშვილს,*** *რომლებიც სკოლის გახსნის დღიდან მოღვაწეობენ. გაწეული ღვაწლისათვის მათ მიენიჭათ საპატიო მასწავლებლის წოდება, გადაეცათ სიგელები და ფასიანი ქაღალდები.“*

სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ქალბატონმა **ციცინო ზედელაშვილმა** სტუმრებს მოკლედ გააცნო სკოლის გახსნიდან დღემდე გავლილი გზა. გაიხსენა ყველა დირექტორი, პედაგოგი და წარმატებული მოსწავლეები. გარდაცვლილების ხსოვნას დარბაზმა პატივი წუთიერი დუმილით მიაგო. რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ირინა გოგონაიამ**, წარმატებულ კურსდამთავრებულებს: **ხატია ორმოცაძეს, მარიამ მაღლაკელიძეს, ანა ხიზანიშვილს, ქეთი მამარდაშვილს, ხატია მიქელაძეს, ნანა დონღვანს** საზეიმო ვითარებაში გადასცა ვერცხლის მედლები; პრეზიდენტის საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერი, სამინისტროს წარმომადგენელმა ქალბატონმა **თამარ კაკუტიამ** საბაზო საფეხურის წარმატებულ კურსდამთავრებულს – **ეკა ლაზაშვილს** გადასცა;

რაიონის დეპუტატმა – **გიორგი გოგუაძემ**, სკოლას საოფისე კომპიუტერი აჩუქა.

სკოლის აღსაზრდელებმა თავიანთი შემოქმედება აჩვენეს სტუმრებს. იყო უამრავი ემოცია, სიხარული, ცრემლი, ტაში და ყვავილები. ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლდათ მუსიკის პედაგოგი ქალბატონი **მარინა ჩიღუნაძე.**

ეს დღე დაუვიწყარ მოგონებად დარჩება სკოლის ცხოვრებაში.

მარიკა მუშკუდიანი
აღმზრდელობითი დარგის კოორდინატორი

„დიდგორით დიდი გული აქვთ ქართველებს“

ამ დღეებში დედოფლისწყაროს რესურსცენრს პოეტ იოსებ ნონეშვილის ვაჟი სტუმრობდა.

ნიშანდობლივია, რომ **სანდრო ნონეშვილის** ხელმძღვანელობით, 1998 წლიდან არსებობს იოსებ ნონეშვილის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ფონდი, რომელიც მოზარდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, მოსწავლე ახალგაზრდების ინტელექტუალური დონის ამაღლების და ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობა-წახალისების მიმართულებით მუშაობს. ფონდს ჩატარებული აქვს არაერთი ბავშვთა შემეცნებითი კონკურსი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დედოფლისწყაროს რესურსცენტრში გამართული ღონისძიებაც, რომელიც კახეთის რეგიონის მასშტაბით ხორციელდება და მომავალში მთელ საქართველოს მოიცავს.

კონკურსი გამოცხადდა საკუთარი ლექსის, ი. ნონეშვილის ლექსების კითხვაში და სახვითი ხელოვნების წარმოდგენაში.

ღონისძიება გახსნილად გამოაცხადა რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **მარინე მეხრიშვილმა** და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სანდრო ნონეშვილი. მისმა სიტყვამ ერთიანად მოაჯადოვა დარბაზში მყოფნი, თვითდაჯერებულობა შემატა კონკურსანტ ბავშვებს.

„ჩვენი სურვილია, ხელი შევუწყოთ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს, მომავალ თაობას დავეხმაროთ ნებისმიერი საგნის ნიჭის გამოვლენაში, გამარჯვებული ბავშვები ფულადი ჯილდოებით და პრემიებით დაჯილდოვდებიან“ – აღნიშნა სანდრო ნონეშვილმა. მასთან ერთად თბილისიდან ჩამოსული იყვნენ ჟიურის წევრები: საზოგადოებრივი არხის მთავარი რეჟისორი **ნუგზარ ჩხეიძე**, რომელმაც ბავშვები მხატვრულ კითხვაში შეაფასა; არქიტექტორი **მერაბ ანდრონიკაშვილი**, რომელმაც ბავშვების მიერ წამოდგენილი ნახატები შეაფასა; პოეტი არქეოლოგი **მალხაზ დათუკიშვილი**.

რაიონის საუკეთესო მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს იოსებ ნონეშვილის ნაცნობი და მივიწყებული ლექსები: „დიდგორით დიდი გული აქვთ ქართველებს“, „ღმერთი და ხელები“, „მედეა“, „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“, „ქეთევანი“, „დედაო საქართველო“ და სხვ.

ჟიურის შეფასების შემდეგ გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ:

ნონეშვილის ლექსების მხატვრულ კითხვაში

სოფო ბექაური – ზემოქედის № 1 საჯარო სკოლა;

თამარ ნატროშვილი – ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა;

დავით მარაული – ქვემოქედის საჯარო სკოლა.

საკუთარი ლექსის კითხვის ნომინაციაში

მრავალი კონკურსის პრიზიორი, არა ერთი დიპლომის მფლობელი, დეკლამატორი **ჟანა თითილოკაშვილი** – სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლა;

მერი ქადაგიძე –დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა;

მაკა ტოხიშვილი – არხილოსკალოს საჯარო სკოლა.

მხატვრულ ნამუშევრებში

თამარ თიაყაშვილი – სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლა;

სალომე ჯანაშვილი – ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა;

ქეთევან ნათელაძე – დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა.

ღონისძიების დასასრულ, სანდრო ნონეშვილმა რაიონის სკოლის ბიბლიოთეკებს საჩუქრად იოსებ ნონეშვილის ლექსების ახალი კრებული გადასცა და კეთილი სურვილებით დაემშვიდობა.

მარიკა პოპიაშვილი

გამოხმაურება

რა ვასწავლოთ ჩვენს ახალგაზრდა თაობას და რატომ?

ეროვნული სასწავლო გეგმა და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა

განათლების რეფორმა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში ბევრი მინისტრიც შეიცვალა. რეფორმამ ბევრი სასიკეთო ცვლილება მოიტანა ჩვენს სკოლებში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მტკივნეულია გარკვეული თვალსაზრისით. მიღებულია ბევრი ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც, გამორიცხული არ არის, მოგვიანებით გადასახედი გახდეს გარკვეული სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით (პირველ რიგში, ვგულისხმობ 12-წლიან სწავლებას სკოლებში). სიახლე ბევრია, განათლების სისტემა საკმაოდ კონსერვატიული სფეროა და თითოეული სიახლის სათანადოდ გათავისებას გარკვეული დრო სჭირდება, მით უმეტეს, რომ უცნობია, რამდენად კარგად მოერგება სხვა ქვეყნებში მიღებული სისტემები ქართულ რეალობას. არ არის გამორიცხული, იმან, რის დანერგვასაც დღეს ასე გულმოდგინედ ცდილობენ, არ იმუშაოს და აღმოჩნდეს, რომ სხვაგვარად აჯობებდა რაღაცის კეთება. არაფერია გამორიცხული, რადგან ჩვენ ექსპერიმენტების ეპოქაში ვცხოვრობთ. მთავარია, არ დაზარალდეს ქვეყნის ინტერესები და მომავალი თაობა. რასაკვირველია, ყველაფერს სჭირდება შემოქმედებითი მიდგომა და პირდაპირ გადმოტანა ბევრი რამისა სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან, ალბათ, არასწორი იქნება. აუცილებელია გათვალისწინება იმ დადებითი მოვლენებისაც, რომლებიც უდავოდ ყოფილა განათლების მანამდე არსებულ სისტემაში (მოგეხსენებათ, არაფრისგან არაფერი იქმნება და მათგან, ვინც დღეს განათლების სფეროში მოღვაწეობს, ბევრი სწორედ ამ სისტემის (უხეშად ვიტყვი) პროდუქტია).

მე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლავართ და ჩემი აზრი მინდა მოგახსენოთ ამ საგნის სწავლებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, უპირველესად კი, ეროვნული გამოცდების 2009-2010 სასწავლო წლის პროგრამის შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც მომზადდა და გამოქვეყნდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ.

არსებობს ორი დაწესებულება – ორი ცენტრი, რომელთა მესვეურებიც წყვეტენ, რა უნდა ისწავლონ ჩვენმა ბავშვებმა. ეს გახლავთ განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი და გამოცდების ეროვნული ცენტრი (ხელმძღვანელი – მაია მიმინოშვილი). პირველი მათგანი ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლის სახელმძღვანელოებს, მეორის კომპეტენციაა ეროვნული გამოცდების ორგანიზება, მისი პროგრამების შედგენა.

მოგეხსენებათ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია ის სტანდარტები, რომლებიც უნდა იქნეს მიღწეული და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებებითაც უნდა შემოწმდეს სტანდარტის მიღწევის ეფექტურობა. არ არის მითითებული, რის საშუალებით, რა მასალით, რა მხატვრული ნაწარმოებებით უნდა მოხდეს სასურველი შედეგების მიღწევა (მახსენდება განათლების სამინისტროს ერთ-ერთი კომპეტენტური პირის ნათქვამი, მთავარია, ბავშვმა იცოდეს რა არის მეტაფორა და რით გაიგებს ამას, არა აქვს მნიშვნელობაო, ანუ ამისათვის „ვეფხისტყაოსანს“ ასწავლი, გიორგი ლეონიძის ლექსს თუ გურამ დოჩანაშვილის „სამოსელ პირველს“, არა აქვს მნიშვნელობა (ბუნებრივია, ამ ნაწარმოებებს თავიანთი ადგილი აქვთ და იმას, რასაც გენიალური პოემით აუხსნი, ვერ გააგებინებ ამ არაჩვეულებრივი რომანით ან შესანიშნავი ლექსებით). რამდენად სწორია სასწავლო გეგმების ამ პრინციპით შედგენა (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში) ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ საკითხავია, რა მოგვცა ამგვარმა სასწავლო გეგმამ და სტანდარტმა? მოგვცა დიდი მრავალფეროვნება სასკოლო სახელმძღანელოებისა. მაგალითისათვის გეტყვით, რომ X კლასში არსებობს ხუთი სახელმძღვანელო, რომლებიც განსხვავებულია არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ეპოქებითაც. ორი მათგანით ისწავლება ძველი ქართული ლიტერატურა, დანარჩენები სხვაგვარადაა შედგენილი. სახელმძღვანელოთა მრავალფეროვნება უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ქმნის გარკვეულ სირთულეს სასწავლო პროცესში და, რაც მთავარია, ამ გაურკვევლობამ მიგვიყვანა იმ ფაქტამდე, რომ ეროვნული გამოცდების ახალი პროგრამა ალბათ, რბილად რომ ვთქვათ, მძიმედ იმოქმედებს ქართული ლიტერატურის მოყვარულ ადამიანზე, მე კი მისი ხილვისას, როგორც ჩემი მეგობარი იტყოდა, უცებ გავღარიბდი.

ზემოთ ვახსენე, რომ განათლების რეფორმაში ბევრი რამაა ისეთი, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ სწორი არ იყო. ამის მაგალითად მე დავასახელებდი იმ ფაქტს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში X-XI-XII კლასების ერთადერთი სახელმძღვანელო არსებობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ეს წლები სახელმძღვანელოების რეფორმების პირველი წლები იყო, ამიტომ, ალბათ, გარკვეული გამართლება ამას ჰქონდა, მაგრამ შედეგად მივიღეთ ის, რომ ამ თაობის ბავშვებმა სკოლაში ვერ ისწავლეს ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელთა არწაკითხვაც, ჩემი აზრით, მათ ბევრს დააკლებს. მე ვხედავ ახალ სასწავლო გეგმების მესვეურთა ირონიულ სახეებს, ვერ გაიგეს ამ კონსერვატორმა მასწავლებლებმა, რომ მთავარია, არა რა ისწავლონ, არამედ როგორ. ასევე ვხედავ იმ იმედგაცრუებულთა სახეებსაც, რომლებიც ფიქრობენ, ნეტავ იმას სწავლობდნენ, რაც აქვთ წიგნებში, სხვას ვიღა დაეძებსო.

ჩემს სათქმელამდეც მოვედი. ეროვნული გამოცდების (მისაღები გამოცდების) ახალ პროგრამაში, სამწუხაროდ, არ არის შესული ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელთა გარეშეც პირადად მე ქართული ლიტერატურის ისტორია წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს შეცდომა ჯერ ბატონმა თამაზ ვასაძემ დაუშვა, ახლა კი გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა. თუმცა გამართლება ალბათ ორივეს აქვს: პირველს – ის, რომ არ მოსწონს და ბოლოს და ბოლოს, მისი საავტორო წიგნია და რასაც უნდა, იმას შეიტანს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა თამაზმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა გარკვეული შენიშვნები. მისი სახელმძღვანელოს ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია, მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ სწავლება. ის X კლასის სახელმძღვანელოში არ არის, მაგრამ შესულია მასწავლებლის წიგნის „შინაარსისა და მიზნების რუკის“ ჩამონათვალში. აქვე უნდა ითქვას, რომ ბატონი თამაზის დამსახურებაა თანამედროვე მწერლების ბევრი ისეთი ნაწარმოების შეტანა პროგრამაში, რომლებიც ახალგაზრდობას ძალიან მოსწონს და მაღალმხატვრულ ლიტერატურას წარმოადგენს. გამოცდების ეროვნული ცენტრის მოტივი კი, როდესაც ეს ნაწარმოებები პროგრამაში არ შეიტანა, ალბათ ის იყო, რომ აღნიშნული ნაწარმოებები არ უსწავლიათ ბავშვებს სკოლაში, რა თქმა უნდა, ამაში გარკვეული, და ალბათ უმნიშვნელოვანესი, როლი იმ მითქმა-მოთქმამ ითამაშა, რომელიც ქალაქში გავრცელდა, რომ ბავშვებს სთხოვდნენ იმის ჩაბარებას, რაც არ უსწავლიათ. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა თავისი პოზიცია დააფიქსირა შარშან, როცა პროგრამა მაშინდელი სახით წარმოგვიდგინა, და რომ არა მათი მტკიცე პოზიცია, შესაძლოა, ლიტერატურის გამოცდის (ვგულისხმობ ენისა და ლიტერატურის გამოცდის ლიტერატურის ნაწილს) არსებობის (და შესაბამისად, მისი სწავლა-არსწავლის) დიდი ალბათობის წინაშე დავმდგარიყავით.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, საერთოდ არის თუ არა საჭირო ეროვნული გამოცდები და საამისოდ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებიც მოჰყავთ. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ სხვა მოთხოვნებია გამოცდებზე და სხვა სასწავლო გეგმებში. აღნიშნული პროგრამა, შესაძლოა, სუსტი და, ვფიქრობ, ცოტა გაუმართლებელი მცდელობაა ამ დაახლოებისა. სანამ რაიმე რადიკალურ ნაბიჯებს გადავდგამთ, იქნებ მანამდე კარგად ავწონ-დავწონოთ, რა გვინდა, რის მიღწევას ვცდილობთ, რა რეალობაში ვცხოვრობთ და ისეთი გადაწყვეტილებები მივიღოთ, რომ არ დავაზარალოთ მომავალი თაობა და ჩვენი ქვეყანა. ეროვნული გამოცდები ალბათ ერთ-ერთი ის პროექტია, რომელმაც გაამართლა. მე მინახავს ბევრი მშობელი, რომლებიც ამბობენ, რომ არა ეს გამოცდები, შესაძლოა, მათ შვილებს ვერც მოეხერხებინათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში. ხარვეზები, ალბათ, არის, მაგრამ მთავარია, ვფიქრობ, ის, რომ რწმენა სამართლიანობისა ამ სფეროში მაინც შეგვინარჩუნდა. ის იდეა, რომ გამოცდები აღარ იყოს და სკოლაში ჩატარებულმა გამოცდებმა გადაწყვიტოს ბავშვების ბედი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ სასურველად აღიქმება, რადგან დღევანდელი სკოლა, სამწუხაროდ, ამისთვის მზად არ არის ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. ამას კიდევ ძალიან ბევრი დრო, ბევრი მუშაობა და ჩვენს ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა დასჭირდება.

რაც შეეხება მისაღები გამოცდების პროგრამას, მან ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. ძალიან შემეცოდა თანამედროვე ქართველთაგან დაწუნებული აკაკი, რომელიც ასე საცოდავად არის წარმოდგენილი პროგრამაში. ილიას „აჩრდილი“, აკაკის „თორნიკე ერისთავი“, „ბაშიაჩუკი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ და კიდევ ბევრი სხვა ნაწარმოები ვერ შევიდა პროგრამაში. აკაკი, ყაზბეგი, როგორც გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, ეს ის დიდი მწერლები არიან, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან და რატომ უნდა მოვაკლოთ ჩვენს ბავშვებს მათი კითხვისა და სწავლის სიამოვნება. ეს ნაწარმოებები არა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას, არამედ იმითაც, რომ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, ქართველთა თავისუფლებისკენ სწრაფვა და ბრძოლაა მათში საინტერესოდ ასახული. თუ ამ დანაკლისს კოლაუ ნადირაძის ლექსით შევივსებთ, რომლის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი მაქვს?! რატომ ვაცლით ბავშვებს ეროვნული სიამაყის განცდას. აკაკიმ თავის დროზე ეს ნაწარმოებები იმიტომაც დაწერა, რომ ეროვნულთავმოყვარეობადაკარგულ და ენერგიადაშრეტილ თაობისთვის გეხსენებინა, „ვისი გორისა“ იყო. თუ ამგვარად გავზრდით ჩვენს თაობებს, მერე რამდენიც უნდა ველაპარაკოთ ტელევიზიიდან პატრიოტიზმზე, ვერაფერს გავაგებინებთ მათ და ეს ცნება მხოლოდ პატრიოტულ ბანაკებთან დაკავშირებული ეგონებათ. ძალიან კარგია თანამედროვე ნაწარმოებების შეტანა პროგრამაში, მაგრამ თუ აკაკი, ილია, ყაზბეგი, ვაჟა (პოეზიას ვგულისხმობ), გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე არ ასწავლე წესიერად, მათი წაკითხვა არ ასწავლე, როგორ გაიგებს გურამ დოჩანაშვილს, ჯემალ ქარჩხაძეს, ოთარ ჭილაძეს. უბრალო წესია სწავლებისა: მარტივიდან რთულისაკენ. ერთიც მაინტერესებს, რატომ უნდა შევიტანოთ პროგრამაში ურთულესი „ლურჯა ცხენები“ მაშინ, როცა ბევრად ადვილად გასაგები და ბავშვებისთვის საყვარელი ლექსი დარჩა მის მიღმა; რა აუცილებლობას წარმოადგენდა ნიკო ლორთქიფანიძის „ქორწილი“ (არ იქნებოდა უკეთესი თემის აქტუალობის თვალსაზრისით, თუნდაც მხატვრული მხარისა და მწერლის სტილის თვალსაზრისით განსხვავებული „თავსაფრიანი დედაკაცის“ შეთავაზება, თუ ამ მწერლის რომელიმე ნაწარმოების დამატება იყო საჭირო), გურამ რჩეულიშვილის „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“. დაე, წაიკითხონ ბავშვებმა ეს ნაწარმოებები, მაგრამ რა კონცეპტუალური გამართლება აქვს მათ პროგრამაში შეტანას. მესმის, რომ ეს პროგრამა არ (და ვერ) იქნება საბოლოო, მაგრამ ვინ იცის, ვის რა მოუვა აზრად.

დაბოლოს, იქნებ შეიქმნას ჩამონათვალი იმ ნაწარმოებებისა, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ამა თუ იმ კლასში ან, უბრალოდ, ჩამონათვალი აბიტურიენტთათვის. ეს იყოს მასალის 50 (შესაძლოა, მეტიც) პროცენტი, დანარჩენი სახელმძღვანელოების ავტორებმა დაამატონ თავიანთი გემოვნებით. და, რაც მთავარია, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ კლასიკა უკვდავია. ვფიქრობ, ნებისმიერი კარგი ნაწარმოებით შეიძლება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მიზნის მიღწევა, მაშინ სახელმძღვანელოების მრავალფეროვნებაც არ იქნება პრობლემა არც მასწავლებლებისათვის და არც გამოცდების მესვეურთათვის.

მზია ბოლქვაძე
თბილისის მე-20 საჯარო
სკოლის პედაგოგი

P.S. მივესალმები სიახლეებს მისაღები გამოცდების ორგანიზებაში და გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სტუდენტთა დაფინანსება მოხდება ოთხი გამოცდის შედეგების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია გადაწყვეტილება, რომ ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია ცალ-ცალკე საგამოცდო საგნებადაა წარმოდგენილი. ეს ცვლილებები, ჩემი აზრით, კარგი დასტურია იმისა, რომ ჩვენ ვსწავლობთ, ვიზრდებით და ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და გასათვალისწინებელი.

„კლიენტის კუთხე“ სკოლის მოსწავლეებს მასპინძლობდა

ერთ კვირას მიმდინარეობდა თემქის დასახლებაში არსებული №149 სკოლის უფროსკლასელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რომელიც არა სკოლის ან რომელიმე საგამოფენო დარბაზის კედლებს, არამედ პროკრედიტ ბანკის „კლიენტის კუთხეს“ ამშვენებდა.

აქამდე ამ კუთხის დანიშნულება ასე კარგად არასოდეს აღმიქვამს. თურმე, ყოველ კლიენტს, თავისი საქმიანობის შესაბამისად, შეუძლია საკუთარი ნაწარმი ბანკში 2 კვირით განათავსოს. თემქის ფილიალის თანამშრომლების თქმით, ევროპული სტილის ბანკი საქმიანი ურთიერთობის ამგვარ ფორმებსაც წარმატებით იყენებს და მუდმივ კლიენტებს საქმის წარმოებაში წარმატების მისაღწევად გარკვეულ დახმარებასაც უწევს.

ამდენად, ბანკისთვის ამ ჩვეულ ვითარებაში, განსაკუთრებული მღელვარება მხოლოდ 149-ე სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექტორს, ქალბატონ **მაია გიორგაძეს**, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს **ნინო გაჩავას** ეტყობოდათ.

კედლებზე თექაზე შესრულებული ფერადი მოსასხამები, ფარდაგები და საქართველოს რუკა იყო გამოფენილი, თაროებზე კი თექისგან მომზადებული სამკაულები და ხელჩანთები ელაგა. ვიტრინები თეფშებზე ფერადი საღებავებით შესრულებული ლამაზი პეიზაჟებით იყო დამშვენებული.

კმაყოფილი იყვნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები კი გამოფენა-გაყიდვის შედეგებით უფრო კმაყოფილნი დარჩნენ – რამდენიმე ნამუშევარი გაიყიდა. შემოსული თანხით ისინი სასკოლო ფონდის შექმნას და ამ ფულის მომავალი განვითარებისათვის დახარჯვას აპირებენ.

ნინო ცხოიძე

კლასის დამრიგებელი

მოვალეობაც და მოწოდებაც

ცისანა ბარბაქაძე
იოანე პეტრიწის სახელობის
კერძო სკოლა „იბერია“

* * *

კლასის დამრიგებელს, სხვა პედაგოგებისგან განსხვავებით, უფრო ახლო ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან და მათთან კონტაქტიც, დროის თვალსაზრისით, მეტი აქვს. ჩემი სადამრიგებლო VIII კლასია. მოგეხსენებათ, ეს გარდამავალი ასაკია მოსწავლეთა ცხოვრებაში, მიუხედავად ამისა, მათთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. განსაკუთრებული პრობლემები არც პედაგოგებთან აქვთ და არც ერთმანეთთან. ძალიან კარგი ბავშვები არიან, კარგად უგებენ ერთმანეთს. დაძაბული ურთიერთობა, თითქმის არასოდეს ჰქონიათ. წელს 5 ახალი მოსწავლე გადმოვიდა ჩვენს კლასში, ამათგან ერთი ვაჟი ჩვენთან სწავლობდა ცოტა ხანს, მერე სხვა სკოლაში გადავიდა და ისევ დაგვიბრუნდა. კლასში უფრო მეტი გოგონაა, მხოლოდ 4 ვაჟია. ჩემი აზრით, გარდამავალ ასაკში ვაჟებთან ურთიერთობა უფრო რთულდება, ამ ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემებიც მათში უფრო იჩენს თავს. გოგონები იმით გამოირჩევიან, რომ, ალბათ ასაკის გამო, უფრო მეტად იპრანჭებიან.

* * *

ჩვენს კლასში იყო ერთი გოგონა, რომელიც მე-6 კლასში გადმოვიდა. ბავშვებმა მასთან ურთიერთობა, რატომღაც, ვერ ააწყვეს. შეიძლება ამის გამო ან იმიტომ, რომ კლასს ვერც სწავლაში აჰყვა, გოგონა სკოლიდან გადავიდა. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ამ გოგონასა და კლასს შორის კონტაქტი ვერ შედგა.

წელსაც გვყავს ახალგადმოსული გოგონა, მაგრამ სრულიად საპირისპირო სურათია. მართალია, მას უჭირდა კლასში შესვლა (ჩვენი სკოლა მისთვის უკვე მესამეა), მაგრამ მშობლისგან ვიცი, რომ ახლა უკვე ძალიან კმაყოფილია. დედას რომ უკითხავს, სკოლიდან ხომ არ გადაგიყვანოო, უარი უთქვამს.

ბავშვები რჩევისთვის მომმართავენ ხოლმე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სხვა პედაგოგებთან ურთიერთობისას ექმნებათ პრობლემა. ხშირად ვუმეორებ, ხოლმე, წარმოიდგინეთ, რომ მე თქვენი მეორე დედა ვარ (შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია), იმიტომ რომ იცოდნენ, თუ რამე გაუჭირდებათ, პირველ რიგში, დამრიგებელი დაეხმარებათ. იმ შემთხვევაში მომმართავენ, როცა სკოლის შენობიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო, გასვლა უნდათ. ჩვენი შენობა იკეტება და დასვენებებზე მოსწავლეები უნებართვოდ სკოლის გარეთ ვერ გადიან.

* * *

ექსკურსიებზე დავდივართ როგორც ქალაქში, ასევე ქალაქგარეთ. დაბადების დღეებზე იკრიბებიან ხოლმე, მეც მეპატიჟებიან. თუ ვერ მივდივარ, ძალიან მწყდება ხოლმე გული.

სკოლა მათთვის მეორე სახლი უნდა იყოს, შინიდან გამოსულები კიდევ ერთ პატარა ოჯახში უნდა გრძნობდნენ თავს. მეხუთე კლასიდან ვარ მათი დამრიგებელი. კლასის ძირითადი შემადგენლობა პირველი კლასიდან უცვლელია, მხოლოდ ერთი ბავშვი გადავიდა. დაგვემატენ სხვა სკოლებიდან მოსული მოსწავლეები. მათ მეორე კლასიდან ვასწავლი რელიგიას. ვეცდები, კლასს ბოლომდე გავყვე, თუმცა, ასეთი პროგნოზის გაკეთება ძნელია. ხშირად ვამბობ ხოლმე, რომ ვიღლები, დამრიგებლობა ძალიან შრომატევადია, ზოგჯერ ჩემი მუშაობით არ ვარ კმაყოფილი, უფრო მეტი მინდა, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, შეიძლება მათ გვერდით აღარ ვიყო, ვხვდები, რომ ძალიან მომაკლდებიან.

ჩემი ბავშვები ძალიან მიყვარს. ვიცი, ჩემი მოსწავლეები სკოლის გარეთ რით არიან დაკავებული. სკოლიდან იმდენი მასალა მიაქვთ, რომ ძირითად დროს სახლში, მეცადინეობაში ატარებენ. ხშირად ამბობენ, ისე ვიღლებით, აღარაფრის თავი აღარ გვაქვსო. რამდენიმე ტაძარში დადის, მრევლია. ერთი ვაჟი ხალხურ სიმღერებს მღერის, ერთერთი ახალმოსული გოგონა კონსერვატორიაში დადის ვოკალზე და საკმაოდ დატვირთულია. ზოგჯერ ბოლო გაკვეთილიდან გასვლაც კი სჭირდება. კიდევ რამდენიმე გოგონა ცეკვავს და ა.შ.

* * *

მშობლებთან აქტიურად ვთანამშრომლობ. მათთან მუდმივად მაქვს სატელეფონო კავშირი, ხშირად მოდიან სკოლაში, ინტერესდებიან შვილების ყოფაქცევითა და აკადემიური მოსწრებით. მშობელთა კრებებზე ხომ სისტემატურად იკრიბებიან. სხვაგვარად არ გამოდის. ახლო კონტაქტი გვაქვს ახალგადმოსულ მოსწავლეთა მშობლებთანაც.

როცა მოსწავლე აცდენს, მშობელი აუცილებლად გვირეკავს და გვაფრთხილებს, თუ გამორჩა მხედველობიდან, მე ვუკავშირდები და ვაზუსტებ გაცდენის მიზეზს. ასე რომ, ყოველთვის ვიცი, სად არიან ჩემი მოსწავლეები. უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რა თქმა უნდა, დედებთან მაქვს, მამები, როგორც წესი, სკოლასთან იშვიათად ურთიერთობენ. ვერც კი გავიხსენებ მშობელთა კრებას, რომელსაც მამა ესწრებოდა.

მერვეკლასელები დამრიგებლის შესახებ

ეკატერინე ურუშაძე: *ცისანა მასწავლებელი მეორე კლასიდან გვასწავლის, მეხუთე კლასიდან ჩვენი დამრიგებელია. ჩვენ მიმართ ძალიან მეგობრულადაა განწყობილი, ყოველთვის სამართლიანი და ობიექტურია. ყოველთვის გვეხმარება ჩვენი თინეიჯერული პრობლემების გადაჭრაში. ხელს უწყობს ისიც, რომ ძალიან ეკლესიურია, ქრისტიანულად ცხოვრობს, რელიგიის მასწავლებელია.*

მარიამ თავაძე: *ჩვენი სკოლა საერთოდ ძალიან მეგობრულია, ყველა მასწავლებელთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ციცო მასწავლებელი მართლაც დამრიგებელია, ჩვენთვის მშობელივით არის. ყოველთვის მივმართავთ, თუ რაიმე პრობლემის გადაჭრა გვინდა, როგორც მშობელს. ძალიან კარგი ადამიანია.*

კახი გრიგოლია: *დამრიგებელთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მასთან ბოლომდე გახსნილები ვართ, რასაც სხვა მასწავლებელს ვერ ვეტყვით, მას ვეუბნებით ხოლმე. თუ რაიმეს დავაშავებთ, პირდაპირ გვეუბნება და არ ცდილობს ჩვენს გამართლებას. ვფიქრობ, გაგვიმართლა, ჩვენი დამრიგებელი რომ არის.*

ანინა შონია: *ძალიან ყურადღებიანია. არასოდეს არ გვერიდება ციცო მასწავლებელთან ამა თუ იმ თემაზე საუბარი. ყველაფერში გვეხმარება, ვთქვათ, სხვა მასწავლებლებთან პრობლემა თუ გვაქვს. ძალიან გულისხმიერად გვეკიდება. ჩვენც ძალიან გვიყვარს და მასაც ვუყვარვართ. მასთან, როგორც მშობელთან, ისე ვგრძნობთ თავს.*

ანი ზაქარეიშვილი: *არის ძალიან ობიექტური, სამართლიანი, ძალიან თბილი. ითვალისწინებს ჩვენს ასაკს და ყველაფერში გვეხმარება. არასოდეს არ გვიყვირის, ძალიან წყნარი ადამიანია. რამეს თუ დავაშავებთ, ჭკუას გვარიგებს. ერთად დავდივართ ექსკურსიებზე, დაბადების დღეებზეც ვპატიჟებთ.*

ანა ტატიშვილი: *ამ კლასში წელს გადმოვედი. ზაფხულში საბუთები რომ მოვიტანე, დამრიგებელი დამხვდა. არ გამჭირვებია არც კლასთან ურთიერთობა და არც დამრიგებელთან. ექსკურსიაზეც ვიყავით. ძალიან კმაყოფილი ვარ, ამ სკოლაში რომ გადმოვედი.*

კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების სკოლა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთში ახლადაშენებული №2 საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** გახსნა. ამ სკოლის მოსწავლეები 1930 წელს აგებულ ერთსართულიან, სრულიად ამორტიზირებულ შენობაში სწავლობდნენ. ამიერიდან კი, ალგეთის №2 საჯარო სკოლის 250-მდე მოსწავლე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში ისწავლის. ახალი სკოლა, 2009 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილი“ ფარგლებში აშენდა, რისთვისაც 364 600 ლარი დაიხარჯა.

ახალი სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებით, კომპიუტერებით, სპორტული ინვენტარით, სასწავლო თვალსაჩინოებებით.

ალგეთის №2 საჯარო სკოლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**, აზერბაიჯანის მინიმეჯლისის წევრი **განირა ფაშაევა**, ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე**, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი **ირაკლი თოდუა** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები.

2009 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში, 564 295 ლარი გადაეცა, რომლითაც განხორციელდა: სოფელ ალგეთის №2 საჯარო სკოლის მშენებლობა, მარნეულის №5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, შაუმიანის №2 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა, მარნეულის №2 საჯარო სკოლაზე მიშენება და გათბობის სისტემის მოწყობა. 2010 წელს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, აშენდება მარნეულის რაიონის სოფელ ახალი დიოკნისის საჯარო სკოლა.

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ბულინგი – BULLYING

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

გაგრძელება

დაზარალებული ბავშვის დახმარება

რის გაკეთება შეუძლია მასწავლებელს?

1) **მომხდარი ბულინგის განხილვა.** ბავშვს საშუალება მიეცით, მოყვეს რაც მოხდა, რას გრძნობს, რა მოუვიდა. **გამოხატეთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა.** ერთად გაარკვიეთ, რა მოხდა.

2) ბავშვთან ერთად **შეადგინეთ მისი უსაფრთხოების გეგმა:**

- იმსჯელეთ, როგორ აარიდოს ბავშმა თავი ანალოგიურ სიტუაციებს;
- განსაზღვრეთ, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, ბულინგი რომ გაგრძელებულიყო?
- მოელაპარაკეთ იმაზე, თუ ვის შეიძლება ბავშმა უამბოს, თუ ბულინგი არ შეწყდება;

3) შეეცადეთ **ჩართოთ დაზარალებული ბავშვი საქმიანობაში, –** ისეთში, სადაც მას თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ექნება. ამით ბავშვს დაეხმარებით თანატოლთა მხარდაჭერის მიღებაში;

4) აუცილებლად ჩართეთ დაზარალებული ბავშვის დასახმარებლად მისთვის **მნიშვნელოვანი, სანდო ადამიანები** – მეგობარი თანატოლები, საყვარელი მასწავლებლები და სხვები;

5) **დააკვირდით,** როგორ მიდის ბავშვის საქმეები შემდგომში;

6) საჭიროების შემთხვევაში **დაუკავშირდით მშობლებს** და მოკლედ უამბეთ მომხდარისა და სკოლის მიერ გატარებული ზომების შესახებ.

რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებს?

თუ თქვენ შეამჩნიეთ, რომ:

- თქვენი შვილი სკოლიდან ბრუნდება ფულის ან ნივთის გარეშე, ან გატეხილი ნივთით;
- მას აქვს დაზიანებები, ჩალურჯებები ან მსგავსი ნიშნები;
- სკოლაში სხვა გზით სიარული დაიწყო;
- უმიზეზოდ არიდებს თავს სკოლაში სიარულს;
- სკოლიდან დაბრუნების შემდეგ არის გაღიზიანებული, ნაღვლიანი ან უჩვეულოდ აგზნებული.

***

- როგორც მშობელი, თქვენ შეიძლება გაბრაზდეთ ან შეწუხდეთ, როცა გაიგებთ, რომ თქვენი ბავშვის მიმართ ხორციელდება ბულინგი.
- ზოგჯერ ბავშვები არ უყვებიან მშობლებს მომხდარის შესახებ, რადგან არ უნდათ მშობლებს გული ატკინონ.
- ზოგჯერ ბავშვები არაფერს ამბობენ მომხდარის შესახებ, რადგან ფიქრობენ, რომ მშობლები ამას სერიოზულად არ აღიქვამენ და ეტყვიან, რომ მან თვითონ უნდა მოახერხოს თავის დაცვა. ამის გამო ბულინგის მსხვერპლი ბავშვი ორმაგ ტვირთს ატარებს: თავს ცუდად გრძნობს იმის გამოც, რომ სკოლაში ჩაგრავენ და იმის გამოც, რომ ამას მშობლებს ვერ უმხელს.
- თუ ბავშვი ყვება მომხდარის შესახებ, პირველ რიგში, მოუსმინეთ მას და დაეხმარეთ გაერკვეს მომხდარში.
- ბულინგის შესახებ ლაპარაკისას ბავშვი შეიძლება საკუთარ თავს დამსმენად თვლიდეს. აუცილებლად შეაქებთ ბავშვი იმისთვის, რომ გითხრათ მომხდარის შესახებ.
- თავი შეიკავეთ ისეთი გამოთქმებისგან, როგორიცაა: „ნუ ხარ მშიშარა“, „შენ უბრალოდ გაბრაზებენ“, „ეს ყველაფერი გაივლის“, „შენით მოაგვარე“. ნუ იფიქრებთ, რომ ბავშვი მარტო გაუმკლავდება ბულინგს. თუ ბავშვი გიყვებათ მომხდარის შესახებ, ესე იგი დახმარებას გთხოვთ.
- არ დაადანაშაულოთ ბავშვი მომხდარის გამო და არ უთხრათ: „შენი ბრალია“. ბავშვები დამნაშავენი არ არიან იმაში, რომ მათ ჩაგრავენ.
- თუ გაქვთ ეჭვი, რომ თქვენი ბავშვი არ გიყვებათ მომხდარის შესახებ, შეგიძლიათ ამის შესახებ მის რომელიმე მეგობარს ან მასწავლებელს ჰკითხოთ.
- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა ბავშმა ვინმეს უამბოს მის მიმართ განხორციელებული ბულინგის შესახებ. თუ მას არ სურს ამის შესახებ თქვენთან საუბარი, შესთავაზეთ დაელაპარაკოს ვინმე სხვას, ოჯახის სხვა წევრს, მასწავლებელს ან დარეკოს „საბავშვო ხაზზე“, ბავშვთა დაცვის დაწესებულებებში.
- თუ თქვენი ბავშვი გიამბობთ ბულინგის შესახებ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი რეაქცია გექნებათ და როგორ მოიქცევით შემდგომში. აჩქარება არ ღირს. მაგალითად, არაა საჭირო მაშინვე შეხვდეთ და დაელაპარაკოთ აგრესორის მშობლებს. შეიძლება სწორედ ამის ეშინია თქვენს ბავშვს. ის შეიძლება ფიქრობდეს, რომ ამით მის მიმართ ძალადობა მხოლოდ გაიზრდება.
- აუცილებლად განიხილეთ ბავშვთან ერთად შემდგომი ნაბიჯები: მასწავლებელთან სასაუბროდ ერთად წასვლა (შეიძლება თვითონ აირჩიოს მასწავლებელი).
- აუცილებელია, რომ თქვენ დაელაპარაკოთ ბულინგის შესახებ მასწავლებელს, რათა მან იცოდეს, რა ხდება ბავშვებს შორის. სრულიად შესაძლებელია, რომ ბულინგის მსხვერპლი იყოს არა მხოლოდ თქვენი, არამედ სხვა ბავშვიც. შეგიძლიათ ასევე დაელაპარაკოთ დირექტორს და მოითათბიროთ, როგორ გაუმკლავდეთ სიტუაციას.
- გახსოვდეთ, რომ ერთ ადამიანს არ შეუძლია ბულინგის შეჩერება. პრობლემის ეფექტური გადაწყვეტისათვის აუცილებელია ბავშვების, მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის და მშობლების ჩართვა.
- ბულინგი მაშინვე არ წყდება. ამას დრო სჭირდება. წაახალისეთ ბავშვი იმისათვის, რომ გიამბოთ, რა ხდება.
- ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვს ეუბნებოდეთ, რომ გიყვართ და ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს.

ფსიქოლოგთა რჩევები:

1) **დაეხმარეთ ბავშვს თავდაჯერებულობის გამომუშავებაში.** ამისათვის ყოველმხრივ წაახალისეთ მისი ნებისმიერი კლასგარეშე აქტივობა, მაგალითად, სპორტით, მუსიკით გატაცება, თეატრალურ წრეებში მონაწილეობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც მას მოსწონს. დადგენილია, რომ თავდაჯერებული ბავშვები იშვიათად იქცევიან თანატოლთა აგრესიის ობიექტებად.

2) **ასწავლეთ ბავშვს საკუთარ თავში დარწმუნებულობის დემონსტრირება.** მაგალითად, კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვედრისას მან თვალები კი არ უნდა დახაროს და მზერა აარიდოს, არამედ პირიქით, თვალისდაუხამხამებლად უნდა ჩახედოს აგრესორს თვალებში და წყნარად, მაგრამ დაბეჯითებით და გარკვევით უთხრას, ვთქვათ: „გაჩერდი! მე არ მომწონს, რასაც შენ აკეთებ“. შემდეგ კი ყურადღება არ მიაქციოს აგრესორის შესაძლო დაცინვებსა და უსიტყვოდ, ღირსეულად წავიდეს.

3) **წაახალისეთ ბავშვის მიერ სხვა ბავშვებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება**. დადგენილია, რომ ბავშვები, რომლებიც განმარტოებას ამჯობინებენ, უფრო ხშირად ხდებიან აგრესიის მსხვერპლნი. ურთიერთობის არეალის გაფართოების ყველაზე მარტივი გზაა ბავშვის ჩართვა სხვადასხვა სექციებში, წრეებში, სახლში სათამაშოდ ბავშვების სტუმრად მოწვევა. მეგობრული ურთიერთობები ამაღლებს საკუთარი ღირსების გრძნობას, საკუთარ თავსა და ქცევებში დარწმუნებულობას.

4) **ურჩიეთ და ნება დართეთ ბავშვს მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიებში, ლაშქრობებში.** ასეთი ღონისძიებების დროს აგრესიის საშიშროება მნიშვნელოვნად ნაკლებია, რადგან ბავშვები უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

5) **ასწავლეთ ბავშვს სხეულის ენა. თანამოსაუბრისათვის** თვალებში ცქერა, გამართული დგომა, მაღლა აწეული თავი, მოშვებული ხელები და მტკიცე ხმა – ძალზე ეფექტური იარაღია ბავშვი-აგრესორის წინააღმდეგ. მოახდინეთ ამ ხერხების დემონსტრირება და ასწავლეთ ისინი ბავშვს.

6) **განიხილეთ ბულინგის პრობლემა სხვა მშობლებთან ერთად.** სავსებით შესაძლებელია, რომ აგრესიის მსხვერპლი სხვა ბავშვებიც იყვნენ. თუ გაარკვევთ მათ ვინაობას, პრობლემა მათ მშობლებთან ერთად განიხილეთ.

7) **აცნობეთ სკოლის ხელმძღვანელობას თქვენი შეშფოთება ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.** ამ ქმედებებს ფსიქოლოგები განიხილავენ, როგორც უკიდურესს, მაგრამ ძალზე ეფექტურებს. შესაძლებელია მოითხოვოთ მოზრდილთა მხრიდან ბავშვებზე კონტროლის გაძლიერება შესვენებების დროს, დერეფნებსა და სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სპეციალისტთა მტკიცებით, მსგავსი ღონისძიებები ამცირებს ბულინგის ალბათობას ბავშვის სკოლაში ყოფნის პერიოდში.

ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ დახმარება სჭირდება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ისე ბულინგის ინიციატორ, აგრესორ ბავშვსაც. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვათ, როგორც ბავშვური სიცელქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.

გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ გაარკვიოთ სიტუაცია, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი დაძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ.

რის გაკეთება შეუძლიათ მასწავლებლებს?

დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი და არა თავად ბავშვი.

1) მშვიდად, ნათლად, ბავშვისთვის გასაგებად აღწერეთ მისი ქცევა და უთხარით, ბულინგის რა ფორმაა ეს;

2) მშვიდად აუხსენით აგრესორს, თუ რა გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე მისი ასეთი ქცევა;

3) გაარკვიეთ, რა მოხდა (როგორ ესმის ამ ბავშვს მომხდარი);

4) აუცილებლად უთხარით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და შეახსენეთ, როგორ ქცევას ელოდებით მისგან;

5) გააგებინეთ მისი პასუხისმგებლობა და ქცევის შედეგები (შეატყობინებენ მშობლებს, ჩატოვებენ კლასში, გამოუცხადებენ საყვედურს და სხვ.);

6) თუ ბავშვი-აგრესორის ქცევის შეჩერებას ვერ ახერხებთ, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა ეცადოთ გადაიყვანოთ სხვა სკოლაში (არა მსხვერპლი, არამედ აგრესორი!).

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ კლასის უსაფრთხო გარემო არის საუკეთესო გარემო ბავშვების ეფექტური სწავლებისთვის.

კარგი მასწავლებელი:

- გაკვეთილზე ზრუნავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;
- ამჩნევს ბულინგის გამოვლინებებს და სათანადოდ რეაგირებს მათზე;
- ამჩნევს ჯგუფიდან გარიყულ და მოწყენილ ბავშვს;
- არკვევს ბავშვის ასეთი ქცევის ან ემოციის მიზეზებს;
- მხარს უჭერს დაჩაგრულ ბავშვს და ცდილობს ბულინგის შეჩერებას;
- ეხმარება ბავშვს რეაგირების სათანადო საშუალებების პოვნაში, როცა მას ვინმე ჩაგრავს – არ ეუბნება, რომ ბავშმა უბრალოდ არ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება, ან რომ თავი უნდა დაიცვას და სამაგიერო გადაუხადოს;
- ეხმარება აგრესორ ბავშვს ქცევის შეცვლაში;
- იძლევა სათანადო ქცევის მაგალითს.

ფსიქოლოგთა რჩევები:

1) მის აგრესიულ ქცევას, მიუხედავად იმისა, თუ ვისზეა ის მიმართული. დააწესეთ სავსებით კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომლებსაც მიმართავთ ბულინგის გამეორების შემთხვევაში.

2) ასწავლეთ ბავშვს დასახული მიზნების მიღწევის კონსტრუქციული მეთოდები, ამა თუ იმ პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრის წესები და ხერხები. დაამუშავეთ ამგვარი ხერხები თქვენსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მაგალითზე.

3) იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითი. თქვენზე დაკვირვებით, ბავშვი გარემომცველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, გარემომცველთა პატივისცემას ისწავლის. შექმენით სიტუაციათა მოდელები, რომლებიც იმ სიტუაციათა მსგავსი იქნება, სადაც ბავშმა აგრესია გამოავლინა. მოახდინეთ პრობლემის გადაჭრის და სასურველი მიზნის მიღწევის სხვა გზების დემონსტრირება, გარემომცველთა მიმართ მენტალური (მუქარა, შეურაცხყოფა) ან ფიზიკური ძალადობის გარეშე.

4) გააძლიერეთ კონტროლი ბავშვზე. იყავით მასთან ახლოს, როცა სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობს. წაახალისეთ მისი მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში, თვითშემოქმედების წრეებში, სხვა კლასგარეშე საქმიანობებში. ამგვარი დატვირთვა ხელს შეუწყობს ბავშვის მოჭარბებული ენერგიის ცივილიზებული და სოციალურად უსაფრთხო გზით დახარჯვას და მნიშვნელოვნად შეამცირებს მის აგრესიულობას.

5) რთულ შემთხვევებში მიმართეთ სპეციალისტ-ფსიქოლოგს. არსებობს სპეციალური მეთოდიკები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს მისი აგრესიული ქცევის მიზეზების გარკვევაში, აგრეთვე ამ პრობლემების მართვისა და რეგულირების სხვადასხვა ხერხის ათვისებაში.

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვა იხ. შემდეგ ნომერში

მოსწავლე შემოქმედი

...თუ ვერ ვიბრძვი ჩემი ქვეყნისთვის, დავწერ მაინც მისთვის...

თბილისის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი **ლელა წიქარიშვილი**), 3 ნოემბერს, ამერიკელ-ქართველი პოეტის **იო ელენა ტყებუჩავას** ლექსების საუკეთესო მთარგმნელთა დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიება ტრადიციულად საქართველოს ჰიმნით დაიწყო, რომელიც სკოლის საესტრადო წრის მოსწავლეებმა შეასრულეს (ხელმძღვანელი – სკოლის საესტრადო წრის მუსიკის პედაგოგი **ნინო ჯულაყიძე**). დამსწრე საზოგადოების წინაშე იო ელენა, სათანადოდ ამ დღისთვის მომზადებული მისასალმებელი სიტყვით წარდგა.

იო ელენა ტყებუჩავა: *„აგვისტოში, როცა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მე ვხედავდი რუსული აგრესიის შედეგს, სისხლსა და ნგრევას და მომდიოდა ცრემლები. მე არა ვარ სენტიმენტური ადამიანი, მაგრამ ნიუ-იორკის ტერაქტის შემდეგ, ბევრჯერ განვიცადე ეს შეგრძნება. არ არსებობს ერი დიდი ან პატარა, მაგრამ არსებობს სათნოება. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რას ვეთაყვანებით, ჩვენი არჩევანი გადაწყვეტს არა მხოლოდ ერების ბედს, არამედ ჩამოაყალიბებს კაცობრიობის საყოველთაო ფასეულობას. როგორიც არ უნდა იყოს ქვეყანა, ძლიერი თუ სუსტი, მას აქვს არსებობის უფლება. როგორიც არ უნდა იყოს ადამიანის ფასეულობები და პრინციპები, ისინი მარადიულია. ჩემს ოთახში, კედელზე, ჩარჩოში ჩასმული მიკიდია მაჰატმა განდის ჩამოყალიბებული შვიდი სოციალური ცოდვა. დიდი ფილოსოფოსი ამ სიას პოლიტიკით იწყებს, ანუ განდის აზრით, ყველაზე დიდი ცოდვაა პოლიტიკა პრინციპების გარეშე. სწორედ მსოფლიო პოლიტიკოსების უპრინციპობამ გამოიწვია აგვისტოს ტრაგედია. ტრაგედია როგორც ქართველი ხალხის, ისე ოსების და აფხაზების. როცა აფხაზეთში 1993 წელს რუსებმა მოუწყვეს ქართველ ერს გენოციდი, მსოფლიო დუმდა. როცა რუსებმა ჩეჩნეთი ადაწვეს 50 000 ბავშვი შემუსრეს, მსოფლიო კვლავ დუმდა. არ დუმდა მხოლოდ შავი ძალა, მან გააკეთა დასკვნა – დანაშაულისთვის არ სჯიან და გაიმეორა აგრესია... რუსეთის აგრესიიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ მსოფლიო ტრიბუნებზე უკვე აღარ ისმის ამ დანაშაულის განხილვა. ეს, საშიში ტენდენციაა, რადგან პასიურობა საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ნებისმიერ დაუცველ ერს. ჩემი პირველი წიგნის – „პოეზიის მოლბერტი“ წერის დროს, გადავიკითხე ესპანეთის ქალაქ გერნიკას ისტორია, რომლის მშვიდი მოსახლეობა, 1937 წელს, სასტიკად დაბომბეს ფაშისტებმა. ამ ტრაგედიით შეძრწუნებულმა პაბლო პიკასომ ფუნჯით ასახა თავისი ტკივილი, რითაც დაგმო ტერორისტული აქტი. ფაშიზმის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტითაა გაჟღენთილი პანო „გერნიკა“. მრავალი წლის წინ, 1830 წელს, სწორედ შემოდგომაზე, ფრანგი მხატვარი დელაკრუა ხატავდა ცნობილ მონუმენტებს იმავე წლის ივლისის რევოლუციისას. მან ასეთი წერილი მისწერა თავის ძმას: „ჩემი სულწამხდრობა გაქარვებულია ჩემი მძიმე მუშაობით და თუ მე ვერ ვიბრძოლე, ჩემი ქვეყნისთვის დავხატავ მაინც“... ჩვენმა წინაპრებმა სათაყვანოდ არაერთი მაგალითი დაგვიტოვეს. მათი გზავნილი ნათელია, ხმა უნდა ავიმაღლოთ სიმართლისთვის. სწორედ ამ ფაქტებმა გაგვინათეს გონება. თუ პოლიტიკოსები იმალებიან, ხალხმა თქვას სათქმელი. მხატვარმა დახატოს, პოეტმა დაწეროს, მუსიკოსმა ააჟღეროს... ყველას აქვს თავისი ენა. აგვისტოში, როცა საქართველო განსაცდელში იყო, ოკეანის იქით, შორეულ კონტინენტზე რა უნდა მექნა მე?... ასე დაიბადა ჩემი ლექსი „გენოციდი“, რომელიც მიეძღვნა ქართველების გენოციდს აფხაზეთში, ანუ ადგილს, საიდანაც განვითარდა ტრაგედიების მთელი ჯაჭვი კავკასიაში. მინდოდა კონკურსში, შეძლებისდაგვარად, მეტი ბავშვი ჩართულიყო, რადგან ლექსის თარგმნისას თითოეული მათგანი უფრო დაფიქრებულიყო მომხდარზე. თქვენ მკითხავთ, რატომ იყო პიკასოს პანო „გერნიკა“ გაცილებით მეტი, ვიდრე ასახვა მომხდარი ფაქტისა? იმიტომ რომ გერნიკამ აჩვენა იმდროინდელი საზოგადოების დაკნინება. ამიტომ, ყველა ერის საკეთილდღეოდ, მივმართავ პოლიტიკოსებს რუსეთში და სხვაგან, ძილის წინ, იმ მშვიდ წუთებში, წარმოიდგინონ არა დაღუპულთა გვამები, არა მათი სისხლი, არამედ წარმოიდგინონ მხოლოდ და მხოლოდ გადარჩენილთა სასოწარკვეთილი თვალები, რომლებიც უხმოდ კითხულობენ-გვიშველით? ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ისეთი პასუხებისთვის, რომლებიც გაგვანთავისუფლებენ ღამის კოშმარებისგან. ჩემი სურვილია მსოფლიოში ვიმოგზაურო და დავეხმარო ხალხს, რათა ჩემი წვლილი შევიტანო იმ კატაკლიზმებში, რაც მსოფლიოში ხდება“.*

ღონისძიებაზე იო ელენა მსმენელთა წინაშე საკუთარი ლექსებით წარდგა. ამავე სკოლის მოსწავლეებმა (**თენგიზ ალფენიძე, ბექა არაშიძე, ნიკა ბეგაშვილი, ეთერ სამნიაშვილი**) წაიკითხეს მათ მიერ ნათარგმნი იო ელენას ლექსები: „როცა გუგუნებს ზარი“, „გენოციდი“, „იმედი“. აღსანიშნავია, რომ კონკურსი „იო ელენა ტყებუჩავას ლექსების საუკეთესო თარგმანი “ სკოლაში რამდენიმე თვის წინ დაიწყო, რომელსაც №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი **ელეონორა ქუთათელაძე** ხელმძღვანელობდა.

ელეონორა ქუთათელაძე: *კონკურსის „იო ელენა ტყებუჩავას ლექსების საუკეთესო თარგმანი“ პირობა იყო, გამოგვევლინა სამი საუკეთესო თარგმანი. ასეთი სახის კონკურსი ჩვენ სკოლაში პირველად ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობის სურვილი ბევრმა მოსწავლემ გამოთქვა. ისინი დიდი მონდომებითა და ინტერესით ეცნობოდნენ იო ელენას შემოქმედებას. კონკურსმა საშუალება მოგვცა ნიჭიერი ბავშვები აღმოგვეჩინა. იო ელენა ჩვენ სკოლაში 2003-04 სასწავლო წლებში სწავლობდა, პირველი კლასის დამთავრების შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა. იგი ბოსტონში მშობლებთან და ორ დასთან ერთად ცხოვრობს. იო ელენა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული გოგონაა. ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ იო ელენას პირველი წიგნი „პოეზიის მოლბერტი“ უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მხატვრობა პოეზიაშია გამოხატული. მისი ლექსები ღრმა შინაარსით გადმოგვცემს ემოციებს“.*

ღონისძიებაზე №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა და იო ელენას პირველმა პედაგოგმა, **თამარ ჩხარტიშვილმა** საზოგადოებას ამავე სკოლის მესამე კლასის მოსწავლე **ელენე ჯანელიძე** წარუდგინა. ელენე კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეა, რომელმაც ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა იო ელენას ლექსი „როცა ზარი რეკს“.

თამარ ჩხარტიშვილი: *„ბედნიერი ვარ, რომ მე ვიყავი იო ელენას პირველი მასწავლებელი, რომელმაც ქართული ანბანი, წერა და კითხვა შევასწავლე. მართალია, დღეს ლექსებს მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერს, მაგრამ მისი შემოქმედება ნათლად მოწმობს, რომ ჩვენ მას სკოლიდან სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარული თან გავაყოლეთ. დიდი მადლობა მის მშობლებს – თენგიზ და ხათუნა ტყებუჩავებს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამერიკაში ცხოვრობენ, მათი დიდი სურვილი იყო, იო ელენას პირველ კლასში საქართველოში ესწავლა, პირველად მშობლიურ ენას ზიარებოდა. მჯერა, იო ელენა თავისი ნიჭის წყალობით გახდება ხიდი ამერიკელ და ქართველთა მეგობრობისა“.*

ღონისძიებაზე №1 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ **გიორგი ქემოკლიძემ** იო ელენას საჩუქრად საკუთარი ნახატი გადასცა, რომელმაც ახლახან კონკურსში „მე მიყვარს ჩემი თბილისი“ გაიმარჯვა. ღონისძიების მხატვრულ ნაწილში ამავე სკოლის ანსამბლ „ბინულის“ (ხელმძღვანელი **პაატა მელაძე**) წვრილბა ხალხური სიმღერები შეასრულეს; მეხუთე კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ფრაგმენტი სპექტაკლიდან „ქეთო და კოტე“ (ხელმძღვანელი **ციცო ნიკოლეიშვილი,** მუსიკის მასწავლებელი **ნინო ჯულაყიძე**); ამავე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ **ეკო ამყოლაძემ** შეასრულა მარიკა კვალიაშვილის სიმღერა „წუთისოფელი“ და ლაიზა მინელის „კაბარე“.

ლელა წიქარიშვილი, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი: *„კონკურსის ჩატარების ინიციატივა იო ელენას ოჯახიდან წამოვიდა. დედა – ხათუნა ტყებუჩავა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია. იო ელენა ჩვენთან 1 წელი, პირველ კლასში, სწავლობდა. შემდეგ, ოჯახთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. კონკურსში „იო ელენა ტყებუჩავას ლექსების საუკეთესო თარგმანი“ მონაწილეობდა 20-მდე მოსწავლე, ძირითადად უფროსკლასელები, თუმცა იყო ერთი მეორე კლასის მოსწავლეც – ელენე ჯანელიძე. ჩვენი მოსწავლეებისათვის ლექსების თარგმნა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. კონკურსის პირობის თანახმად შეირჩა იო ელენას სამი ლექსი ოთხი საუკეთესო მთარგმნელი. დღევანდელ ღონისძიებაზე ჟიური გრან პრის მფლობელს გამოავლენს და საუკეთესო მთარგმნელებს სათანადო პრემიებს მიანიჭებს. უკვე რამდენიმე წელია, სკოლაში ვატარებთ წერით ტურებს პენმარათონის პრინციპით. თარგმანის კონკურსი პირველად ჩავატარეთ. ვფიქრობ, მსგავს კონკურსებში მოსწავლეების ჩართვა აუცილებელია. დღევანდელი ღონისძიება ჩემთვის გამთლიანებულია სლოგანით „...თუ ვერ ვიბრძვი ჩემი ქვეყნისთვის, დავწერ მაინც მისთვის“... ეს მკაფიოდ არის ასახული იო ელენას შემოქმედებაში და ჩვენი მოსწავლეების ნამუშევრებში. ღონისძიებას ფონად გასდევდა უდიდესი შემოქმედის, მოაზროვნის, პოეტის ჯონ დონის ელეგიის მოტივები. იო ელენას არჩევანი და მიმართება ჯონ დონის პოეზიასთან მეტყველებს იმაზე, რომ ამ პატარა გოგონას არაჩვეულებრივი გემოვნება და პოეტური ხედვა აქვს. მსგავსი კონკურსები სკოლაში კიდევ ჩატარდება და იმედი მაქვს ჩვენი მოსწავლეები, ნორჩი მთარგმნელები არაერთხელ გვასახელებენ.*

ღონისძიების მთავარი მიზანი, საუკეთესო მთარგმნელის გამოვლენა იყო. კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით გრან პრის მფლობელი **თენგიზ ალფენიძე გახდა**, პირველი პრემია წილად ხვდა **ბექა არაშიძეს**, მეორე და მესამე პრემიები **ნიკა ბეგაშვილმა** და **ეთერ სამნიაშვილმა** გაინაწილეს. ჟიურიმ ყველაზე პატარა მთარგმნელი **ელენე ჯანელიძეც** არ დატოვა გულდაწყვეტილი, სკოლის სახელით ელენეს საჩუქრები გადაეცა. იო ელენამ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს სამახსოვრო სუვენირები გადასცა.

მანანა პაიჭაძე, ჟიურის თავმჯდომარე: *„ძალიან რთული იყო საუკეთესოს შერჩევა. თარგმანის შეფასებაში მთავარია ორი მომენტი: პირველი – როგორ აღიქმება თარგმნილი ტექსტი დამოუკიდებლად მისი ორიგინალისგან; მეორე – ხდება ამ ტექსტის შეჯერება დედანთან. რა თქმა უნდა, ტექსტი მაქსიმალურად უნდა ასახავდეს დედნის შინაარსს, მასში შემავალი ყველა მხატვრული კომპონენტის გათვალისწინებით. ჟიურის წევრებმა ორი პარამეტრით შეავფასეთ ნამუშევრები: პირველი და ყველაზე მთავარი, რამდენად ქართულად იყო შესრულებული ნამუშევარი (ნათარგმნი); მეორე – მაქსიმალური სიზუსტის დაცვა დედანთან. გრან პრის მფლობელის, **თენგიზ ალფენიძის** თარგმანები განსაკუთრებით ახლოა დედანთან და სამივე ლექსში ქართული ხედვა იგრძნობა. ასევე საუკეთესო იყო **ბექა არაშიძის, ნიკა ბეგაშვილის** და **ეთერ სამნიაშვილის** თარგმანები“.*

ხათუნა ტყებუჩავა, იო ელენას დედა: *„ამერიკაში 1997 წლიდან ვცხოვრობთ. იო ელენა ბოსტონში დაიბადა. ჩვენს ოჯახში ქართული ენა უპირველესია. მე და ჩემმა მეუღლემ მივიღეთ გადაწყვეტილება, ბავშვებს ქართული ანბანი საქართველოში შეესწავლათ. ამიტომ, იო ელენა პირველ კლასში ჩემს ყოფილ სკოლაში მივიყვანე. იგი პირველი კლასის დამთავრების შემდეგ წა-*

მოსწავლე შემოქმედი

ვიყვანეთ ამერიკაში. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამივე შვილი ქართულად მეტყველებს, წერს და კითხულობს. საქართველოს დიასპორის სამინისტრომ ბრწყინვალე ვებგვერდი გააკეთა უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის. საქართველოში წამოსვლის წინ, მე და ჩემმა შვილებმა „შუშანიკის წამება“ ერთად წავიკითხეთ. ნაწარმოებმა იო ელენაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ლექსების წერა რვა წლის ასაკში დაიწყო. მექსიკაში მოგზაურობისას მიუძღვნა ლექსი მექსიკას. ამის შემდეგ, იო ელენამ აქტიურად დაიწყო წერა. პირველი სერიოზული ლექსი ბოტიჩელის „ვენერაზე“ დაწერა. ლექსს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. როცა ბოსტონში სტუმრად განის მეფე ჩამოვიდა, იო ელენამ განას ლექსი მიუძღვნა, რომელიც ძალიან მოეწონათ. ლექსი, იო ელენას სურათით და პოსტერებით, ჟურნალ „განას“ ვებგვერდზე მოათავსეს. ამის შემდეგ, იო ელენამ გადაწყვიტა თავისი საყვარელი მხატვრებისთვის მიეძღვნა ლექსები. მან შეარჩია 40 მხატვარი. წიგნზე, დაახლოებით, სამი წელი მუშაობდა. პირველი კრებული – „პოეზიის მოლბერტი“ 88-გვერდიანია და ინგლისურ ენაზე გამოვა. წიგნში შესულია მხატვრების ბიოგრაფიები და ის ნახატები, რომლებიც იო ელენას განსაკუთრებით მოსწონს. ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს წიგნი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მხატვრობა, პოეზიის თვალითაა გადმოცემული. კარგი იქნება, სამომავლოდ, იო ელენას „პოეზიის მოლბერტი“ ქართულ ენაზე თუ ითარგმნება.

დღევანდელი ღონისძიება ჩემთვის ამაღელვებელია. ერთ დროს მეც ამ არაჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი. დიდი მადლობა ღონისძიების ყველა მონაწილეს, რომლებმაც გაალამაზეს დღევანდელი დღე. დიდი მადლობა ქალბატონ ლელა წიქარიშვილს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და საშუალება მოგვცა, დღევანდელი ღონისძიება ჩაგვეტარებინა. მადლობა ჩემს პედაგოგს, ქალბატონ ელეონორა ქუთათელაძეს, რომელმაც ორგანიზება გაუწია კონკურსს და იო ელენას შემოქმედება მის თანატოლებს გააცნო. მოხარული ვარ, რომ კონკურსმა ამდენი ნიჭიერი მოსწავლე აღმოაჩინა“.

ილია ზუკაკიშვილი, „ამერიკის მეგობართა კლუბის საქართველოში“ ხელმძღვანელი: *„დიდი მადლობა იო ელენას და პირველ საჯარო სკოლას ასეთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისთვის. იო ელენა მართლაც საოცრად ნიჭიერი ბავშვია. მისი ლექსები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ პოეტი, თავის ასაკთან შედარებით, შესანიშნავად გრძნობს იმ პრობლემას, რომელიც საქართველოშია და არა მარტო საქართველოში. თუმცა „ამერიკის მეგობართა კლუბის“ განსაკუთრებული სიმპათია ბექა აროშიძემ დაიმსახურა, რომელიც სურათით – ნიუ-იორკის ხედი და წიგნით „ამერიკის ისტორია“ დავაჯილდოვეთ“.*

ერეკლე საღლიანი, პოეტი: *„იო ელენა განსაკუთრებული გოგონაა. ხშირად, როცა ბავშვი ადრე ბრძენდება, მას ეწირება მისი ბავშვობა. თუმცა, იო ელენას შემოქმედებაში ეს არ იგრძნობა. მის ლექსებში ნათლად ჩანს ბავშვური უშუალობა და სიწრფელე, უდიდესი სიწმინდე და სისუფთავე. სამწუხაროდ, ეს პატარა გოგონა ხედავს გლობალურ სივრცეში არსებულ უბედურებას. მართალია, იო ელენას აფხაზეთის და აგვისტოს ომები არ უნახავს, მაგრამ ამ უბედურებას ისე განიცდის, თითქოს მონაწილე იყოს. ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი იო ელენა და მისი დიდებული ოჯახი. მართალია, ის ლექსებს ინგლისურ ენაზე წერს მაგრამ, ქართულად აზროვნებს. დიდი მადლობა №1 საჯარო სკოლას საინტერესო და მაღალი დონის ღონისძიების ჩატარებისთვის“.*

თენგიზ ალფენიძე, №1 საჯარო სკოლის XII[3] კლასის მოსწავლე, კონკურსის გრან პრის მფლობელი: *„როცა პირველად იო ელენას ლექსები წავიკითხე, გავოცდი და გავიხარე, რომ საქართველოდან წასული პატარა გოგონა, ოკეანის იქით, ფიქრობს სამშობლოზე, იცის, რომ მისი ფესვები აქ არის, წუხს, განიცდის, წერს და მსჯელობს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც უფროსებსაც კი არ აქვთ პასუხი. იო ელენა მართლაც საოცარი გოგონაა. პირველ რიგში, დიდი მადლობა მშობლებს, რომ ზრუნავენ მის ქართველად აღზრდაზე. დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით ქალბატონ ელიკოს, რომელმაც იო ელენას დაგვაკავშირა და მის შემოქმედებას გაგვაცნო. დარწმუნებული ვარ, იო ელენა ძალიან ბევრს მიაღწევს ცხოვრებაში და საქართველოს არაერთხელ ასახელებს“.*

მაკა ყიფიანი

გენოციდი

თარგმნა ***თენგიზ ალფენიძემ***

სისხლი და ცრემლი დანთხეული
ერთი მიზეზით,
ბედნიერება წართმეული
ბნელი მიზნებით.
მოხუცებს შორის ვხედავ ბავშვებს
უსასრულ გზებზე,
ობლად დარჩენილ გახრწნილ გვამებს
მცხუნვარე მზეზე.
არა, არ მჯერა! ეს სიზმარი
ალბათ ტრიალებს,
მაგრამ ნაგვემი, ნანამები
ხალხი ღრიალებს,
ადამიანის გატანჯული
დაძრწის აქ ჩრდილი,
აგონიური გამოხედვით,
როგორც აჩრდილი.
ვინ შეძლებს ახსნას თუ რა ხდება,
რა დავინახე?
ნუთუ ჩემ გარდა ხმას არავინ
არ აღიმაღლებს?
მე შენ მოგმართავ ამ შეკითხვით
და კიდევ
იმათ
ვინც პასუხს აგებს, ვინც ყელაფრის
ზურგსუკან იდგა,
ბრალს ვდებ მსოფლიოს, რომ ამ ხალხზე
დახუჭა თვალი,
დროა ვილოცოთ და ამ ერის
ვიხადოთ ვალი!
მიტოვებულს და დაკარგულს მაქვს
სიღრმეში სევდა,
ღმერთო, ვერ შეძლეს ჭრილობებმა
რატომღაც შეკვრა.
საქართველო და გენოციდი, ტანჯული
– ფიქრებს
დარჩება მუდამ გონებაში –
ჯვარცმული ქრისტე.

ზარი რომ რეკავს

თარგმნა ***ბექა აროშიძემ***

ზარი რომ რეკავს, გვიხმობს ლოცვისთვის,
ზარი რომ რეკავს, დრო არის თქმისთვის,
თქმისთვის რაც კი რამ გვაწუხებს, გვაფიქრებს,
ვაი რომ ცხოვრება ყოველდღე გვაწბილებს.

ზარი რომ რეკავს ესაა ნიშანიც,
გვახსოვდეს ყველა ვინც აქ აღარ არის,
სანთელი... პირჯვარი... და თხოვნა დიდი
უფლის მოწყალების, მისიის ტვირთის.

ზარი რომ რეკავს, ბეჭდები იცვლება,
ახალი ცხოვრება სილაღით იწყება,
ბედის შეერთებით, სიმართლის ძიებით,
ვალით, სიყვარულით – მათ მოაქვთ იმედი.

ჩემთვის კი, ზარები რეკვას რომ იწყებენ,
ამ დროს მე ჯონ დონსაც ყოველთვის ვიხსენებ,
ვიხსენებ ღრმა სიბრძნეს და მის მოწოდებას,
გახსოვდეს: „ეს ზარი სწორედ შენთვის რეკავს“.

მინდა

თარგმნა ***თენგიზ ალფენიძემ***

მინდა ყოველთვის მყავდეს მშობლები
რომ ვიგრძნო ზრუნვა და სისადავე.
მინდა ვეფერო ჩემს პატარა დებს,
ვნახო ბავშვობის მე სილამაზე.
მინდა ვხედავდე გვერდით მეგობრებს,
ვუთხრა წუხილი და სიხარული.
მინდა ვზრუნავდე ჩემს ცხოველებზე,
მათაც სჭირდებათ ეს სიყვარული.
მინდა ყვავილებს ვაპკურო წყალი,
რომ დავეხმარო დედა-ბუნებას.
მინდა ვუყურო აისს და დაისს
ჩვენი პლანეტის მუდამ ბრუნებას.
მინდა ღიმილით დავიწყო დილა
გამვლელებს გარეთ გავუქრო სევდა.
მინდა მახსოვდეს სათქმელი სიტყვა
დავლოცო სული, გამქრალი ყველა.
მინდა შემეძლოს სხვის დახმარება,
რომ ჩემს სიცოცხლეს გააჩნდეს აზრი.
და მინდა გულში თბილოდეს მუდამ,
რომ არ გაუჩნდეთ ოცნებებს ბზარი.

როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე?!

თემურ კენკებაშვილი კოჯრის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეა. პარალელურად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში სწავლობს. არის რამდენიმე ნაშრომის ავტორი. ახლახან გამოაქვეყნა წიგნი „კოჯრის ისტორია“. მოპოვებული აქვს რამდენიმე სიგელი წარჩინებული სწავლისთვის და საკონფერენციო დიპლომი. გთავაზობთ მის წერილს „როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე?!“

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, ჩვეულებრივ, აღვნიშნავთ 27 ოქტომბერს (ძვ. სტ) და 8 ნოემბერს (ახ. სტ), მაგრამ არასდროს არ გვახსენდება და საზოგადოების დიდმა ნაწილმა ალბათ არც იცის, რომ ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 20 იანვარს (ძვ. სტ). ამის შესახებ მოგვეპოვება ცნობა. არსებობს „საეკლესიო წიგნი“, რომელშიც გაკეთებულია სააქტო ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში (იხილეთ. სცსსა, ფ.489, აღ.6, ს.301, ფ.16): *„იანვრის ოცში, ამა სოფლის მცხოვრებელთა პორუდჩიკს გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა მაგდანას ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი ილია, სახლი განვუნათლე და ნათლის ცემა სრულ ვჰყავ ამავე სოფლის იოანე ნათლის მცემლის შობის ეკლესიის მღვდელმან ბლაღოჩინმა დანიელ იოანეს ძემ ზურიევმან, ნათლის ღების დროს იყო ამავე ეკლესიასა შინა მოსე ივანეს ძე ფხოტიაშვილი, მირონმქმნელად იყო თელავის უეზდის სოფლის ქისტაურის მცხოვრებელი, გარდაცვალებულის თავადის გიორგი ერისთავის მეუღლე ნინო მალხაზის ასული“.*

დოკუმენტში მოცემულ მშობლების სახელთა იდენტურობა დადასტურებულია.

რას შეიძლება გამოეწვია ამგვარი ცდომილება ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით?

ჩემი მოკრძალებული აზრით, ილია ჭავჭავაძეს თავისი დაბადების თარიღი ზეპირი გადმოცემის მიხედვით უნდა სცოდნოდა. იგი ადრე დაობლდა, დედა რომ გარდაეცვალა ათი წლის იყო, მას შემდგომ ილიას მამიდა ზრდიდა, ხუთ წელში მას მამაც გარდაეცვალა და სავარაუდოა, რომ მისი დაბადების თარიღიც ილიას ადრე დაობლების გამო უნდა დაკარგულიყო. ანდა, შესაძლებელია ისიც, რომ ილიას დაბადების თარიღი მისი რომელიმე დის ან ძმის დაბადების თარიღში არეულიყო (როგორც ცნობილია ილიას ორი ძმა და ორი და ჰყავდა).

საეკლესიო ჩანაწერი რომ უფრო გვიანდელი იყოს, ვიდრე ილია ჭავჭავაძის დაბადების დღედ აღიარებული თარიღია, ვიფიქრებდით, რომ ეკლესიაში ჩანაწერის გაკეთება მოგვიანებით, მაგალითად მისი ნათლობის დროს მოხდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ილია ნოემბერში დაიბადა და საეკლესიო წიგნში ამის შესახებ თითქმის ერთი წლით ადრე ჩაწერეს. ამდენად ჩანაწერის უზუსტობა, ჩვენი აზრით, გამორიცხულია და სასურველი იქნებოდა, რომ დიდი მამულიშვილის დაბადების დღე ზუსტად იმ დროს აღგვენიშნა, როცა ეს მოხდა.



შტრიხები პორტრეტისთვის

ეს ჩუბჩიკაა, ერთადერთი და განუმეორებელი

როგორ ლამაზდება ჩვენი ცხოვრება, როდესაც ხედავთ ნამდვილ ხელოვნებას, ასე უხვად და უანგაროდ რომ აჩვენა საქართველოს თენგიზ მირზაშვილმა.

რეზო გაბრიაძე



ნუგზარ ნოზაძის ფოტო

2 ნოემბერს გალერეაში „ვერნისაჟი-კოპალა“ გაიმართა წიგნის „თენგიზ მირზაშვილი“ პრეზენტაცია (გამოფენის ორგანიზატორი **ზაირა ბერელიძე**). წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა თენგიზ მირზაშვილის მეგობრის, თანაკლასელისა და თანაკურსელის **ზურაბ წერეთლის** მხარდაჭერით. წიგნი-ალბომი თვითონ თენგიზ მირზაშვილმა შეადგინა, მაგრამ საბოლოო სახის მიცემა მას არ დასცალდა და დაასრულეს **ირაკლი ხუციშვილმა** და **სანდრო ყანჩელმა**. „ჩვენ შევეცადეთ წიგნი იმ ფორმით დაგვესრულებინა, რა მდგომარეობაშიც გადმოგვეცა, მინიმალური ჩარევით ავტორის ჩანაფიქრში, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გვიხდებოდა ამა თუ იმ ფრაგმენტზე უარის თქმა.“

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნი-ალბომი არც მხოლოდ წიგნია და არც მხოლოდ ალბომი, ეს თენგიზ მირზაშვილის სამყაროა, რომელიც ყველას და ყველაფერს იტევს, რაც მას უყვარდა და რაც მისთვის ძვირფასი იყო. წიგნს **რევაზ გაბრიაძის** ჩანახატები გასდევს.

გთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან:

ორსახოვანი იანუსი

ცდა თენგიზ მირზაშვილის ანუ „ჩუბჩიკას“ ფენომენის დახასიათებისა

სახე პირველი: თენგიზ მირზაშვილი

თენგიზ მირზაშვილის სურათებზე არასოდეს ჭახჭახებს მზე. არსად არ არის მყვირალა ფერადოვნება, ხმამაღლა მჟღერი ფერები. აქ ყველა ფერი დამშვიდებულია. ნითელს ჟღალი ენაცვლება, ყვითელს – ჩალისფერი. აქაც მჟღავნდება მხატვრის უშუალო კავშირი ქართული ხელოვნების ძირებთან, რომლისათვისაც ყოველთვის იყო დამახასიათებელი ფერთა თავშეკავებული კეთილშობილება და დაოკებული დინამიკა.

თენგიზ მირზაშვილს არასოდეს ღალატობს ჭეშმარიტი ხელოვანის ალღო და გემოვნება. მისი კომპოზიცია ყოველთვის უცთომელია. მის სურათებში არაფერია ზედმეტი ან მეორეხარისხოვანი. ყოველი დეტალი თვითმყოფელია და უცილობელი. ეს დახვეწილი სტილი ბადებს სრულყოფის განცდას. ამიტომ მისი სურათის მზერისას აღარ გრჩება სურვილი „კიდევ რაღაცისა“, ვინაიდან იქ ყველაფერია, რაც უნდა იყოს.

სახე მეორე: „ჩუბჩიკა“

ჩუბჩიკას საუფლოში არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს თანამდებობა, ნომენკლატურული იერარქია თუ მატერიალური კეთილდღეობანი. მან ერთ სიტყვაში გააერთიანა ფული და ტიტული და მიიღო ფიტული. ამ თვალსაზრისით იგი ისეთივე ასკეტია, როგორნიც იყვნენ კასრში მჯდომარე დიოგენე თუ ინდოელი რამაკრიშნა, ფრანცისკ ასიზელი თუ სვიმეონ მესვეტე. ერთი სიტყვით, ეს ჩუბჩიკაა, ერთადერთი და განუმეორებელი.

მირზაშვილების ოჯახი, ფუნიკულიორის პლატო, 1966 წ.

...ჩუბჩიკას დამთავრებული აქვს „საყველაფრო“ უნივერსიტეტი. მან ერთნაირ, მაღალპროფესიულ დონეზე იცის არა მხოლოდ ხელოვნების ისტორია და თეორია, არამედ ენათმეცნიერებაც და ტექსტოლოგიაც, ფოლკლორიც და ეთნოგრაფიაც, მურაბების ტექნოლოგიაც და კვანტური ფიზიკაც. მას შეუძლია ცხვირი ჩაჰყოს ყველაფერში, თვით იმ ვიწრო სპეციალობის ურთულეს პრობლემებში, რასაც თქვენ შეალიეთ თქვენი შეგნებული ცხოვრება, რის გამოც მოგენიჭათ უმაღლესი რანგის სამეცნიერო ტიტულ-ხარისხები. ჩუბჩიკა მოურიდებლად გაიქექ-გამოიქექება და თავდაყირა დაგიყენებთ მთელ სისტემას. იგი არის ყოველი დისციპლინის უდისციპლინო მკვლევარი, საგნიდან საგანზე მოფარფატე, როგორც შემოდგომის პეპელა.

ვახუშტი კოტეტიშვილი

თენგიზ მირზაშვილის პარადოქსი

მისი ნახატები დინჯი და უშფოთველია.

დაუღალავი და შეუსვენებელია მხატვრის მოძრაობა, მიუხედავად ჯანისა თუ უძლურებისა, შეუპოვრობისა თუ მერყეობისა (დაქანცული და დაძაბუნებული კი იგი არავის უნახავს, ვერც წარმოიდგენს, ვერც იფიქრებს).

***

მისი ნახატების სამყარო მყარი და უეჭველია.

მისთვის ჩვეულია, დაეჭვებითა და უნდობლობით შეხედოს იმას, რაზეც სხვა არ დაეჭვებულა და არ დაეჭვდება.

***

ყოველ ცისმარე დილით თენგიზ მირზაშვილი თავის სახელოსნოში განმარტოვდება იმ სიმშვიდის მოსახმობად და გასაღვიძებლად, რომლის დანგრევა მას დარჩენილი დღის განმავლობაში – გვიანობამდე – უწევს და უხდება.

მერაბ ღაღანიძე

შეიძლება სოკრატე ხატავდეს?

მერაბ მამარდაშვილის შემდეგ ქართველი სოკრატეს ადგილი ვაკანტურია. გასაგები სპეციფიკის გამო თავქოჩორა ხელისუფლება ამ ორი ათას ოთხასი წლის სახელგანთქმული მელოტის ადგილზე პრეტენზიას ვერ აცხადებს. თანაც, თარსი ვაკანსიაა – ქართველმა სოკრატემაც ხომ ისეთი გულისწყრომა დაიმსახურა თანამემამულეთაგან, როგორც ბერძენმა. ბერძენი და ქართველი სოკრატეები ამბობდნენ, მხოლოდ ერთი სიკეთე – ცოდნა არსებობსო და მხოლოდ ერთი ბოროტება – უმეცრებაო. ის, ძველი ბერძენი, დადიოდა აგორაზე და ეკითხებოდა ხალხს, სად იყიდება სიკეთეო. ერთხელ ბაზარში მატერიალიზმს შეუწუხებია და შეუძახია, ღმერთო, რამდენი რამ შეგიქმნია, რომელთა გარეშე ცხოვრება შეიძლებაო! მერმე ვიწრო შუკაში დახვედრია ქსონოფონტეს, ჯოხით გადაუკეტავს მისთვის გზა და უკითხავს, სად იყიდება ესა თუ ის საჭმელიო. ეს იმას სცოდნია. შემდეგ უკითხავს, სად უნდა შეიძინოს კაცმა სიკეთეო. ეს იმას აღარ სცოდნია. მომყევიო. ისწავლეო.

ბუნდოვნად მახსოვს, რომ ვცხოვრობდი ჩემთვის წყნარად; შესაძლოა, არც ისე წყნარად, მაგრამ ჩემთვის ...მოვიდა და ყველაფერი ამირია. ცოტა მომეფერა, ცოტა დამცინა, ხუთიოდ წუთში მანამდე ხელმიუკარებელი კერპი (კაცმა ხუთლარიანზე დახატვაც კი დაიმსახურა და არა ლარიანზე, ფიროსმანივით!) წამიქცია, გალაკტიონზე (ტკიცინა ლარიანებით გაუკვდავება რომ არ ეღირსა) მოკლე სამეცნიერო-პოპულარული ლექცია წამიკითხა, თავისი კერპის ერთი ნახატის კომპოზიციის შესახებ ისაუბრა ასე, საათი და ორმოცდასამი წუთი, შემდეგ მე, საქმეში

პროფესიულად ჩახედულ და თავმომწონე გურმანს ფიროსმანის ნახატის დეტალი მაჩვენა, რაღაც კერძი რომ უნდა იყოს, მაგრამ სხვებივით მეც ვერაფრით რომ ვერ მივხვდი, რა უნდა იყოს და ეს თავსატეხი დღემდე სიზმრებში დამიტოვა; ერთი-ორი სასაცილო (ანუ სმეშნოი) კითხვა დამისვა თავისი ბერძენი ჰიპოსტასის სტილში, მოულოდნელად წავიდა და ამაფორიაქა. ახლა ჩაკეტილია თავის სახელგანთქმულ სახელოსნოში (რომლის რკინის კარებს ჩვეულებრივი, ადამიანური აბრის ნაცვლად მხატვრის სიგნატურა დაუსვა და, შესაბამისად, უნებლიეთ, რასაკვირველია, ბოროტი განზრახვის გარეშე, რა თქმა უნდა, მიღმური სიბრძნის მცველ კარიბჭედ გამოაცხადა), ხატავს და ხატავს თავის შედევრებს და არც კი ანაღვლებს, რომ ამ ათიოდე წლის წინ სამსახურში ჯიქურ მიეჭრა საკუთარი თავის და საკუთარი ქვეყნის ტკბობით გართულ მოქალაქეს და მშვიდი ჰარმონია მოურიდებლად და თანაც სამუდამოდ დაურღვია.

პირველად სწორედ მაშინ ვიფიქრე, თენგიზ მირზაშვილი ჩუბჩიკა კი არა, სოკრატე ყოფილა-მეთქი. ხომ იყო ლუკა მახარობელი მხატვარი? მარინისტის გარდა შეიძლება არსებობდეს ირონისტი მხატვარი; ოღონდ ეს ირონისტი მხატვარი ბრალდებას დაიმსახურებს. ვერ დავმალავ, გარკვეული მიზეზების გამო ჩამომიყალიბდა ნებისმიერი ბრალდების, საბრალდებო დასკვნისა და განაჩენისადმი სერიოზული დამოკიდებულება. პირველი სოკრატეს საბრალდებო დასკვნა კი ამბობდა: „დამნაშავეა იმაში, რომ არ ცნობს იმ ღმერთებს, რომელთაც ცნობს სახელმწიფო და შემოჰყავს სხვა, ახალი ღმერთები.“ ძველი და ახალი ღმერთები ერთად რომ არ გაეუქმებინათ ძველ და ახალ ხელისუფლებას, როგორ დაიზარებდა ერთი კარგი, ასაკოვან-ქოჩორა რევოლუციამდელი პროკურორი ან კიდევ უფრო ერთი კარგი, ასე 20-22 წლის რევოლუციისშემდგომი პერიოდის გამოცდილი ბრალმდებელი და როგორ არ გამოაცხობდა საბრალდებო დასკვნას, რომელშიც იტყოდა: „მოქალაქე თენგიზ მირზაშვილი დამნაშავეა იმაში, რომ არ ცნობს ღმერთებს, რომელთაც ცნობს სახელმწიფო (ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი და რამდენი კიდევ ბერიძე!) და შემოჰყავს სხვა ახალი ღმერთები (ვანო მელიაშვილი, ეთერ თათარაიძე)?! ეხ, ეხ, ჭეშმარიტად ზარმაცი დროა, დიდი ხელოვანის წესიერად კედელთან მიყენებაც არ შეუძლია.

ლევან ბერძენიშვილი

თენგიზ მირზაშვილი და რევაზ ინანიშვილი...

მათი შემოქმედების (და არა მარტო შემოქმედების) ფესვები ხომ ერთი წიაღიდან მოდის, ჩვენი სამშობლოს, მისი ბუნების, ჩვენი ხალხის პოეტური სულის, მისი ყოფის, რაც მთავარია, მისი პოეზიის, პოეტური სიტყვის, სიტყვიერების წიაღიდან. სწორედ ეს წიაღია რეზო ინანიშვილისა და თენგიზ მირზაშვილის შემაერთებელი. ამ წიაღიდან, ამ სიღრმეებიდან, ორივეს ფაქიზად ამოაქვს სინათლე და ჩვენს ირგვლივ მიმოფენს. ორივესთვის ეს სინათლეა მთავარი, ამ წიაღის სიღრმეებში დავანებული სინათლე და მისი ჩვენს ირგვლივ მიმოფენის ფაქიზი სტილი. აი, რატომ გრძნობენ ისინი ერთმანეთს, როგორც ორი ხელისგული.

ლამარა კიკილაშვილი

შენი სამყაროც ხდებოდა

თენგიზ მირზაშვილი სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სახელისა და პოპულარობის გარეშეც, უკვე იყო პიროვნება, რომელიც განუზომლად დიდ გავლენს ახდენდა ირგვლივ მყოფებზე. თენგიზის მიმზიდველობა ადვილი ასახსნელი არ არის, შეიძლება ითქვას, რომ მას ისეთი თვისება აქვს, რაც ხშირად მხოლოდ სხვადასხვა ადამიანშია გაფანტული. ეს არის, ალბათ, გარეგნობაც. ყურადღებიანი და თბილი დამოკიდებულება განურჩევლად ყველას მიმართ, გულუხვობა, ასევე, პოეზიისა და ლიტერატურის მიმართ გამძაფრებული გრძნობა, სიყვარული, პოეზიის სამყაროში ბუნებრივი არსებობა. თენგიზთან კარგად, მშვიდად და მყუდროდ გრძნობდა თავს ყველა, მართლაც ათ კაცს უდრიდა – ყოველი კენჭი, ფოთოლი თუ ბალახი მისთვის ძვირფასი იყო – ეს სიყვარული შენთან ძალდაუტანებლად გადმოდიოდა. ძველი, ჩაშავებული სახლების აივნები თუ ფერდობის განსაკუთრებული განათება, შენი სამყაროც ხდებოდა, როდესაც თენგიზი ამას ფრთხილად შემოგთავაზებდა. ეს ის სამყარო იყო, რომელიც დროთა მკაცრ მსვლელობას თენგიზმა გამოსტაცა და თავის გენიალურ ნახატებში სამუდამოდ დაგვიტოვა.

...ამ ინტერესით და ჭეშმარიტების ერთგულებით აიხსნება თენგიზის გამოკვლევები ისტორიოგრაფიაში თუ ადრექრისტიანული ძეგლების შესწავლაში, მისი განსაცვიფრებელი მიგნებები რუსთველოლოგიის დარგში. მისი წერილები, მისი „მკვახე შეძახილები“ ერუდიციის, მეცნიერული აზროვნების, აკადემიზმის, ნათელი გონების მაგალითებია, ასეთი კვლევები ბევრ ახალ ხედვას და მეცნიერულ მიდგომას დაუდებს სათავეს.

მანანა გედევანიშვილი

თენგიზ მირზაშვილის „თუშეთი“

თენგიზ მირზაშვილის ნახატების ციკლი „მთათუშეთი“ პირველად ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე ვნახე. მას შემდეგ, კარგა ხანი გავიდა და ამ ნახატებმა დღესაც ისეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე... მე მთათუშეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ თენგიზ მირზაშვილმა დამაჯერა, რომ ის ნამდვილად ასეთია.

ზოგს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს სითამამე, რომლითაც შესრულებულია თენგიზ მირზაშვილის სურათები. ესაა გრაფიკის, ფერწერისა და პოეზიის სინთეზი და ჩვენი ფრესკების ლირიზმსა და ბარელიეფების დახვეწილ, მომღერალ ხაზებს ენათესავება.

თავისთავად, პოეტურმა თემამ მოითხოვა თითქოს ნახატის ასეთი შესრულება და, ჩემი აზრით, ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რადგან ნამდვილად, ლექსად არ შეიძლება იქცეს ის, რისი დაწერა პროზადაც შეიძლება.

თამაზ ჭილაძე

თენგიზ მირზაშვილს

გაკვირვებით მიყურებენ შენ ყაყაჩონ,
შავ ბატკანა’ ნაღველნაჭარბ მხედავს,
ყვავილ გახყრი ეკლესიის წინათით ხეს,
ფთა მოსტეხი ქედანს.
ჩირთს დაღმლევი გავაგანიერა’ ცხენი-დ’
ცხვა ვერც ვერას ხედავს,
გაწირული-დ ჩქამჩამარხულ სოფლის თავზე
შავ ჯანღ გძლოანს სჩეჩავს...

ღიმნაფენებ შემომხედვენ შენ ყაყაჩონ,
ფთა ეკურნებ ქედანს.

ეთერ თათარაიძე

***

ჩუბჩიკას მისცეს ნაგრადა
ხელსაც ართმევდნენ მაგრადა
მანანა გაიძახოდა:
კლიანუს, ია ტაკ რადა!

ალექსი ჭინჭარაული

***

არ იქნა, არ გაიპარსა
წვერები ჩუბჩიკამაო,
ლოყებზე ამოუვიდა
ნიახური და კამაო.

ვაი, თუ თვითონ დაიწყოს
თავისი ბოსტნის ჭამაო.

ვახუშტი კოტეტიშვილი

ნააზრევი

გოეთეს საუბრები ეკერმანთან

1823 წლის 10 ივნისს, 31 წლის პოეტი იოჰან პეტერ ეკერმანი პირველად ესტუმრა ვაიმარელ ბრძენს, 74 წლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს.

...ეკერმანი ერთგულ მეგობრად მოევლინა მას და ამ გენიალურმა შემთხვევამ კაცობრიობას შემოუნახა სიბრძნის მთელი წიგნი. თუ გოეთეს მართლა ფორტუნა სწყალობდა, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ეს შეხვედრა ეკერმანთან, რომელმაც მისი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა, სიცოცხლეში თანამოსაუბრედ და მრჩევლად ჰყავდა, გარდაცვალების წინ კი თხზულებათა რედაქტირება-გამოცემის რთული საქმე მიანდო.

...„გოეთეს საუბრები ეკერმანთან მისი სიცოცხლის ბოლო წლებში“, ან, როგორც ზოგ გამოცემაში უწოდებენ, „ეკერმანის საუბრები გოეთესთან“, იმ გენიერ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის რომელთა შექმნაც იშვიათად ხდება. ...საუბრებში ხომ ადამიანი უფრო უშუალოდ და გულწრფელად გამოხატავს თავის მოსაზრებებს.

...„საუბრების“ მთავარი ღირსება არის გოეთეს უშუალო, გულწრფელი მოსაზრებების სიუხვე – ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, გამოჩენილ ადამიანებზე, ისტორიულ მოვლენებზე *(შესავალი წერილიდან).*

გთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“:

...როცა დღეს გოეთესთან სადილად ცოტა დაღვრემილი და შებოჭილი გამოვცხადდი, ჩემმა შეუძლოდ ყოფნამ მისი მოთმინების ფიალა აავსო და ცოტა არ იყოს ირონიულად გადმომკრა, გამემასხრა:

სწორედ მეორე შანდი ხართ, განთქმული ტრისტრამის მამა, რომელსაც მთელი ცხოვრების ნახევარი კარის ჭრიალმა გაუმწარა და იმდენი ვერ მოისაზრა, რომ ორი წვეთი ზეთით ის კარები გაეჩუმებინა.

თუმცა ასეთია მთელი ჩვენი ცხოვრების ბედი! **ადამიანის ბედსაქმნის გამონათება და დაბინდება!** კარგი იქნებოდა, რომ დემონი მუდამ აჭიმებით გვატარებდეს და გვასწავლიდეს, როდის რა ვაკეთოთ. მაგრამ საკმარისია მფარველმა ანგელოზმა მიგვატოვოს, რომ უმწეოდ ვრჩებით და ბნელში ცეცებით დავდივართ.

ნაპოლეონი, აი ვინ იყო კაცი! ყოველთვის ყველაფერი მისთვის ცხადი და გასაგები იყო, არავითარი ეჭვი არ თანგავდა და ნებისმიერ დროს ჰქონდა საკმარისი ენერგია, რომ განეხორციელებინა, მოეხდინა ის, რაც ხელსაყრელად და აუცილებლად მიმაჩნდა. მთელი მისი ცხოვრება იყო სვლა ნახევრად ღმერთისა ბრძოლიდან ბრძოლამდე, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. მისი ამბავი შეიძლება თამამად ითქვას: ეს იყო ერთიანი გამონათების მდგომარეობა; რომ ბედი მისი ისეთი ბრწყინვალე იყო, როგორიც მანამდე კაცობრიობამ არ იცოდა და არც ეცოდინება ალბათ არასოდეს, – სწორედ ასეთი გამონათების წყალობით.

დიახ, ჩემო კარგო, ის ისეთი ყმანვილი იყო, ჩვენ ვერ მიგბაძავთ!

გოეთე ოთახში ბოლთასა სცემდა. მე კი ვუჯექი სუფრას, რომელიც თუმცა ალაგებული იყო, ზედ ცოტაოდენი ღვინო, ნამცხვრები და ხილი დაეტოვებინათ.

გოეთემ სასმისი შემივსო და მაიძულა მომესინჯა ერთიც და მეორეც.

...რაც ახლა ნაპოლეონზე თქვა, გონებაში ჩამრჩა და შევეცადე საუბარი კვლავ ამ საგანზე ჩამოეგდო.

მე მაინც მეჩვენება, – დავიწყე, – რომ ეს განუწყვეტელი გამოსხივება ნაპოლეონს ძირითადად ჰქონდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ძალ-ღონის მოზღვავებას ემატებოდა ღვთაებრივი წყალობა, რის გამოც ბედი ერთთავად უღიმოდა. შემდეგ და შემდეგ თითქოს გამონათებაც შენელდა, ბედმაც უმუხთლა და კეთილმა ვარსკვლავმაც.

როგორ გინდათ! – მიპასუხა გოეთემ. – ჩემი სიმღერები და „ვერთერიც“ მეორედ აღარ შემიქმნია. ის ღვთაებრივი გამონათება, რაც უჩვეულოს ქმნის, სწორედ უკავშირდება ახალგაზრდგობასა და ნაყოფიერებას, და ნაპოლეონიც ერთ-ერთი უნაყოფიერესი, ყველაზე უფრო პროდუქტიული ადამიანი იყო, როგორც კი ისტორიამ იცის.

დიახ, დიახ, ჩემო კარგო, არ არის აუცილებელი მარტო ლექსები და პიესები წერო, არსებობს აგრეთვე **ნაყოფიერება საქმეებისა**, და მრავალ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანწილად უფრო მაღლაც დგას. თვითონ ექიმიც პროდუქტიული უნდა იყოს, რადგან ნამდვილი მკურნალობა ევალება. მაგრამ თუ საამისო ნიჭი არა აქვს და ხანდახან შემთხვევით გამოსდის რამე, ექიმბაშია და არა მკურნალი.

თუ არ ვცდები, თქვენ ამ შემთხვევაში ნაყოფიერებას უწოდებთ იმას, რასაც ჩვეულებრივ გენიას უწოდებენ ხოლმე.

ეს ძალიან ახლო მონათესავე ცნებებია, – მიპასუხა გოეთემ, – აბა რა არის გენია, თუ არა ნაყოფიერი ძალა, რაც საგმირო საქმეებს ქმნის, ღმერთსა და ბუნებას რომ არ ეკრძალებიან, უკვალოდ არა ქრებიან და მარად ცოცხლობენ? მოცარტის ყველა ქმნილება ასეთია. მათში სადგურობს ნაყოფისმომცემი ძალა, რაც თაობიდან თაობაში გადადის, არ ამოიწურება და არ გაუფერულდება. იგივე ითქმის სხვა დიდ კომპოზიტორთა და ხელოვანთა საქმეებზე. ფიდიასმა და რაფაელმა მომდევნო საუკუნეებზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს, განა იგივე არ გააკეთეს დიურერმა და ჰოლბაინმა? ის, ვინც ძველი გერმანული ხელოვნების ფორმები და პროპორციები აღმოაჩინა, რამაც შესაძლებელი გახადა შემდგომ აეგოთ სტრასბურგისა და კელნის ტაძრები, განა გენია არ იყო? მისი ზეგავლენა არც მომდევნო საუკუნეებში შენელებულა და დღემდე გრძელდება. ლუთერი იყო გენია, ძალზე მნიშვნელოვანი რანგისა! რამდენი დღე და საუკუნეა, რაც მისი ზეგავლენა გრძელდება და კიდევ რამდენი საუკუნე გაგრძელდება ეს მდგომარეობა, ვერავინ განჭვრეტს. ლესინგი დიდხანს შეუპოვრად უარყოფდა თავისთვის გენიის წოდებას, მაგრამ მისი ზეგავლენა ისე გაგრძელდა, რომ ეს მოქმედება მის სანინააღმდეგოდ ლაპარაკობს. სამაგიეროდ ვიცით ლიტერატურაში სხვა სახელები, და საკმაოდ მქუხარენიც, რომელნიც სიცოცხლეში თავს გენიოსებად რაცხდნენ, მაგრამ მათი გენიალობა მათთან ერთად დასრულდა, და სინამდვილეში ბევრად უფრო პატარები იყვნენ, ვიდრე მათ და მათს მაქებრებს ეგონათ, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, არ არსებობს გენია ნაყოფიერი ძალის ხანგრძლივი მოქმედების გარეშე. თანაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა საქმიანობას ეწევა ადამიანი – ხელოვანია თუ ხელოსანი, ეს სულერთია. სად გამოვლინდა მისი გენია მეცნიერებაში, მსგავსად ოკეანისა და ჰუმბოლდტისა, ომსა თუ სახელმწიფო მართვაში, როგორც ფრიდრიხ დიდისა თუ პეტრე პირველისა, სიმღერების წერაში, როგორც ბერანჟესი – ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია მისი აზრის სიცოცხლე, მახვილგონიერება, საქმე თუ ცოცხლობს დიდხანს და თუ ინარჩუნებს ზემოქმედების ძალას.

თანაც კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: ნაწარმოებების და საქმეების სიუხვე ყოველთვის არ არის ადამიანის პროდუქტიულობის ნიშანი. ჩვენ გვყავს ლიტერატურაში ქებული პოეტები, რომლებიც ძალზე პროდუქტიულად ითვლებიან, რამეთუ ლექსთა ტომებზე ტომებს აწყობენ, სინამდვილეში კი ჩემი მოსაზრებით ისინი უაღრესად არაპროდუქტიულნი არიან, რადგან მათი ლექსები უსიცოცხლონი და უდღეურნი გახლავთ. გოლდსმითმა ძალიან ცოტა ლექსი დაწერა, ისე რომ მათზე თითქმის ლაპარაკიც არ ღირს. სინამდვილეში კი მინდა ის უაღრესად პროდუქტიულ პოეტად ჩავთვალო, რადგან რაც მან დაწერა, იმაში არის სული, სიცოცხლე და მაშასადამე გამძლეობა.

დუმილი ჩამოვარდა. გოეთე ისევ განაგრძობდა ოთახში წინ და უკან სიარულს. მე მინდოდა ამ მნიშვნელოვან საკითხზე კიდევ მეტი ეთქვა და შევეცადე საამისოდ ის კვლავ აღმეძრა.

მინდა ვიცოდე, – ვთქვი, – ეს გენიალური პროდუქტიულობა მნიშვნელოვანი პიროვნების სულშია მხოლოდ თუ მის სხეულშიც არის?

ყოველ შემთხვევაში, – მიპასუხა, – სხეულს ამ მხრივ დიდი ზეგავლენა აქვს. იყო დრო, როცა გერმანიაში გენია წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც სუსტი, პატარა, ან სულაც კუზიანი გონჯის სახით. მე კი მგონია, რომ გენიას სხეულიც სულის საკადრისი უნდა ჰქონდეს.

ნაპოლეონზე ამბობდნენ, გრანიტისაგან გამოკვეთილი კაციაო, და ეს ძირითადად მის სხეულს ეხებოდა. რა არ გადაიტანა, რისი გადატანა არ შეეძლო! სირიის გავარვარებული ქვიშიდან ვიდრე თოვლით გადაპენტილ მოსკოვის ველებამდე რამდენი ლაშქრობა, ბრძოლა და ღამის ბივუაკი უნახავს! რამდენი ჯაფა და ნაკლებობა არგუნა ბედმა! ცოტა ძილი, მცირე საკვები, და თანაც სულ მუდამ სულიერი დაძაბულობა, გონებრივი მუშაობა. თვრამეტი ბრიუმერის უსაშინლეს ღამეს და მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩაუდვია. ამის მიუხედავად სულაც არ უფიქრია სხეულის მომაგრებაზე, ღამით კიდევ თავის თავში იპოვა იმდენი ძალა, რომ დაეწერა განთქმული მოწოდება „ფრანგი ხალხისადმი“. კაცმა რომ ასწონოს, რაც მან გააკეთა და გადაიტანა, ორმოცი წლისას თითქოს ტანზე ცოცხალი ადგილი არ უნდა შერჩენოდა, მაგრამ ამ ხნის სარდალი ჯერ კიდევ თავიდან ფეხებამდე სრულყოფილი გმირი გახლდათ.

მაგრამ თქვენ სრულიად მართალი ხართ. მისი გამარჯვებების მთელი ბრწყინვალება მის ახალგაზრდობაზე მოდის. ერთი წარმოიდგინეთ, უთვისტომო, გაურკვეველი ჩამომავლობის უცნობი ვინმე, იმ დროში, რომელმაც ასპარეზზე გამოიწვია ყველა ნიჭიერი და უნარიანი ადამიანი, რაღაც ოცდაშვიდი წლისა ხდება ოცდაათმილიონიანი ერის კერპი. მერე, ნაპოლეონი ერთადერთი მაგალითი როდია.

...მე რომ მეფე ვიყო, – განაგრძო გოეთემ, – სახელმწიფოს პირველ კაცებად არ გავაჩერებდი იმათ, რომელნიც დაბადებითა და გაკვალულ გზაზე ხანგრძლივი წყნარი სვლით ან რაღაც დამსახურებით აღზევებულან, საიდანაც, რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი გამოვა. უმალ ვისურვებდი მყოლოდა **ახალგაზრდები**, ოღონდ, ცხადია, გამჭრიახი გონებით დაჯილდოებულნი, ენერგიულნი, კეთილი ნებისანი და ხასიათით უკეთილშობილესნი, რა ბედნიერება იქნებოდა მაშინ სახელმწიფოს მართვა და თავისი ხალხის წინ წაყვანა! მაგრამ სადაა მეფე, რომელსაც ასე გაუმართლებს, საიდან მოიყვანს ასეთ ღირსეულ მსახურებს!

დიდ იმედს ვამყარებ ახლანდელი პრუსიის კრონპრინცზე. ყველაფრიდან, რაც მასზე მესმის და ვიცი, ჩანს, რომ ერთობ მნიშვნელოვანი ადამიანი უნდა იყოს. იმედი მაქვს, ასეთი ბრძანებელი ღირსეულ და ნიჭიერ ადამიანებს შეარჩევს. რაც არ უნდა თქვან ჯუფთი ჯუფთს აღიარებს, მხოლოდ მსგავსი ცნობს მსგავსს, და ხელმწიფე, რომელიც თავად დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი უნარიანობით, თავის ქვეშევრდომთაგან დაიახლოვებს და აამაღლებს ასეთსავე უნარიან, ღირსეულ ადამიანებს, ერთგულ მსახურებად გაიხდის მათ. „მიეცით ნიჭს ფართო გზა!“ – ასეთი იყო ნაპოლეონის საყვარელი გამოთქმა, ნაპოლეონს კი ჰქონდა გამორჩეული უნარი, რომ ყოველი საქმისათვის შეერჩია შესაფერისი ადამიანი, რომელიც თავის საკუთარ რეგიონში თავს ღაღად გრძნობდა და მთელს მის დიდ საქმიანობაში ისე ემსახურებოდა, როგორც სხვა ვერავინ მიეშველებოდა.

...ჩემს ცხოვრებაში მე მქონდა დრო, პერიოდი, როცა ყოველდღიურად ჩემს თავს მთელი თაბახის დაწერას ვთხოვდი, და ასეთ მოთხოვნას იოლად ვასრულებდი. ჩემი „და-ძმა“ სამ დღეში დავწერე, ხოლო „კლავიგო“, როგორც იცით, რვა დღეში. ახლა ასეთ რამეს უნდა მოვეშვა, და მაინც ამ ხანდაზმულობაშიც პროდუქტიულობაში ჩემს თავს ვერ დავემდურები. მაგრამ იმას, რასაც ახალგაზარდობაში ყოველდღე და ყოველგვარ ვითარებაში იოლად ვაკეთებდი, ახლა მხოლოდ დროგამოშვებით ვახერხებ და ისიც გარკვეულ პირობებში. ათითორმეტი წლის წინ, უშუალოდ განმათავისუფლებელი ომის დამთავრების შემდეგ, როცა სავსებით „დივანის“ ძალაუფლების ქვეშ ვიყავი, დღეში ორ-სამ ლექსს ვწერდი, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი – ველად, ეტლში თუ სასტუმროში. სულერთი იყო ჩემთვის. ახლა კი ჩემი „ფაუსტის“ მეორე ნაწილზე მუშაობა შემიძლია მხოლოდ დილის საათებში, როცა გამოძინებული და მოძლიერებული ვარ და ვიდრე დღის საზრუნავთა გაწამაწია დამქანცავს. მერე, განა ბევრს ვაკეთებ? სულ რაღაც ერთ გვერდს თუ შევავსებ, ან იმდენს, რომ ხელისგულზე დაეტევა, ისიც ნაყოფიერ დღეებში, სხვა დროს კი ამდენსაც ვეღარა ვწერ.

ხომ არ გეგულებათ რაიმე ისეთი, – ვკითხე მე, – რომ შეიძლებოდეს მისი შემწეობით პროდუქტიულობის ამაღლება, ან ყოველ შემთხვევაში მისი შენარჩუნება?

ამ საქმეში, – მიპასუხა გოეთემ, – არის რაღაც უცნაური ვითარება, რაზედაც უნდა ვიფიქრო და ვილაპარაკო.

უმაღლესი რიგის პროდუქტიულობა, ყოველი მნიშვნელოვანი აპერსუ (მახვილგონივრული აზრი, თქმა), ყოველი აღმოჩენა, ყოველი დიდი აზრი ნაყოფს იღებს და შედეგიანია თავისთავად, არავის ძალაუფლებას არ ექვემდებარება და ყოველგვარ მიწიერ ნებაზე მაღლა დგას. ასეთი შეთხვევები ადამიანმა უნდა განიხილოს, როგორც მოულოდნელი ციური ძღვენი, როგორც სუფთა ღვთაებრივი ბავშვი, რომელიც სიხარულით, მადლობითა და მოწიწებით უნდა მივიღოთ, პატივი ვცეთ და მოვუფრთხილდეთ. ეს დემონურს ენათესავება, ეუფლება ადამიანს და აიძულებს გააკეთოს ის, რაც მოესურვება, თვითონ აღმასრულებელი კი ანგარიშმიუცემლად ემორჩილება მას და ჰგონია, რომ საკუთარი ნებით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ხშირად მხოლოდ იარაღია უფრო ამაღლებული მსოფლიო ძალაუფლებისა, ბედზე ნაპოვნი ჭურჭელია, ღვთაებრივი სასმელისათვის განკუთვნილი. ამას ვამბობ და ვგულისხმობ, რაოდენ ხშირად ხდება, რომ ერთადერთი ახალი აზრი სახესა და მიმართულებას აძლევდა მთელს საუკუნეებს, და რა ბეჭედს ასვამდნენ ცალკეული ადამიანები მთელს ეპოქას თავიანთი არსებობით, – ბეჭედს, რომელიც მთელს მომდევნო თაობებს ახსოვდათ, კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა ეპოქიდან ეპოქამდე.

მაგრამ არსებობს სულ სხვა ხასიათის პროდუქტიულობაც, რომელიც უმალ მიწიერ ზეგავლენას ემორჩილება და რამდენადმე თვით ადამიანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი მას რაღაც ღვთაებრივი-საკენ აქვს მიდრეკილება. ასეთ რეგიონს ვაკუთვნებ ყველაფერს, რაც უკვე გამიზნული გეგმის, ჩანაფიქრის აღსრულებას ემსახურება, იმ აზრთა მსვლელობას ყოველ რგოლს, რომლის ბოლოც ნათლად გვესახება; მასავე მივათვლი ყველაფერ იმას, რაც ხელოვნების ნაწარმოების სხეულსა და სულს განეკუთვნება.

ასე მივიდა შექსპირი „ჰამლეტის“ შექმნის აზრთან, როცა მთლიანის სული მოულოდნელად გამოეცხადა, მისგან შთაგონებული ფიქრით განცვიფრებულს თვალწინ წარმოუდგა ყოველი ცალკეული სიტუაცია, ხასიათი და მთლიანის გამოსავალი თავისი ამაღლებული თანხმობით წარმოიდგინა, ვითარცა სუფთა ძღვენი ციური, რამეთუ თავად უშუალო ზეგავლენა მისგან არ განუცდია, თუმცა ასეთი შესაძლებლობის მონაცემი (აპერსუ, მახვილგონივრული წინამღვარი) იყო სული (გაისტ), სწორედ შექსპირის საკადრისი. სამაგიეროდ უკვე შემდგომი დამუშავება ცალკეული სცენებისა, მოქმედ პირთა საუბრებისა სავსებით მის ხელთ იყო, ასე რომ ვერ შეეძლო ეწერა დღეობით, საათობით, შემდეგ კი დამუშავება-დახვეწაზე მუშაობა კვირაობით განეგრძო, როგორც ინებებდა. საბოლოოდ კი ჩვენ ვხედავთ პროდუქტიულ ძალას ყველაფერში, რაც მას შეუქმნია, ვხედავთ ერთნაირი ძალით, და არ არის არც ერთი მონაკვეთი, ოდნავ რომ გვეხამუშებოდეს და გვაფიქრებინებდეს, ცოტა სხვანაირად შეიძლებოდა დაწერილიყო. როცა შექსპირს ვკითხულობთ, ვგრძნობთ, რომ ყველაფერი ეს შეუქმნია ადამიანს, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღსა და ძალმოსილს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საუბრები ბიბლიაზე

შესაქმის მეორე და მესამე დღე

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

მოციქული პავლე გვასწავლის: *„რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და წვდომა უხილავისა, რადგანაც რწმენით მიეცა მოწმობა უხუცესთ. რწმენით შეიცნობთ, რომ ღვთის სიტყვით შეიქმნენ საუკუნენი, და რომ ხილული უხილავისაგან იღებს დასაბამს“* (ებრ. 11:1-3).

როდესაც ვსაუბრობთ შესაქმის ექვსი დღის შესახებ, ჩვენ გვწამს, რომ:

პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ცა და მიწა და რადგან მიწა ბნელით იყო მოცული, ღმერთმა თქვა: *„იყოს ნათელი და იქმნა ნათელი“*, შემდეგ ღმერთმა ნათელი და ბნელი ერთმანეთისაგან გაჰყარა (დაბ. 1:1-5). ბნელი თავისთავად არასრულფასოვნებას ასახავს, მისი წარმოდგენა მხოლოდ ნათელის გარეშე მყოფ ფიზიკურ და სულიერ რეალობად არის შესაძლებელი.

მეორე დღეს ღმერთმა შექმნა სამყარო (იხილეთ „მცხეთური ხელნაწერი“), ანუ მყარი და სამყაროს საშუალებით *„გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ“* (დაბ. 1:6-8).

წყლის ხატს ბიბლიაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ეს არის სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი სტიქია, რომლის მართვაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია; წყალი წმინდა წერილში შეიძლება სევდის, განწმენდისა და სულიერი კურთხევის, ქაოსისა და წესრიგის, სიცოცხლისა და სიკვდილის წყარო და სიმბოლო იყოს.

ღვთის დიდების შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ:

„ადიდეთ იგი, ცანო ცათანო, და წყლებო, რომელნიც ცათა მაღლა ხართ“ (ფსალმ. 148:4).

„კეთილად გაიხსენე ქვეყანა და მორწყე, დიდად გაამდიდრე იგი; ნაკადი ღმერთისა სავსეა წყლით;“ (ფსალმ. 64:10).

„მის ხმაზე ხმაურობს წყლები ცაში, ის კრებს ღრუბლებს ქვეყნის კიდეებიდან, ის წარმოშობს საწვიმრად ჭექა-ქუხილს, აგზავნის ქარს თავისი საგანძურებიდან“ (იერ. 10:13).

წყალი, ადამიანთა უსაზღვრო უზნეობისა და დაცემის გამო, გარკვეულ პერიოდში, დედამიწაზე ადამიანების მიერ დამკვიდრებული ქაოსის განადგურების საშუალება ხდება; ნოეს დროს მოვლენილმა წარღვნამ ქვეყანა ახალი შესაქმისათვის განამზადა. წარღვნის შემდეგ სამყარო განახლდა და ამ განახლებულ სამყაროში მხოლოდ ზნეობითა და ღვთისმოშიშობით გამორჩეული ნოე და მის კიდობანში თავმოყრილი ქვეყნის ბინადარნი გადარჩნენ და დასახლდნენ. ნათქვამია:

„გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყოველი ცხოველი, ყოველი პირუტყვი, მასთან ერთად რომ იყო კიდობანში; და მოავლინა ღმერთმა ქვეყნად ქარი და დაყუდდა წყალი. დაიგმანენ უფსკრულის წყაროები და ცათა სარკმელები, და შეწყდა წვიმა“ (დაბ. 8:1-2).

მას შემდეგ, რაც წარღვნის საშუალებით დედამიწა სრული უზნეობისა და დაცემულობისაგან განიწმინდა, უფალმა ბრძანა: *„ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო... მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი. ვიდრე ქვეყანა იქნება – არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება“* (დაბ. 8:21-22).

სხვა შემთხვევაში ადამიანთა უღმერთობით გამოწვეული, ცალკეული ხალხისადმი მიმართული ღვთის აღშფოთების შესახებ, ბიბლიაში ვკითხულობთ:

„ცაო, შეშფოთდი და გამოშრი, ამბობს უფალი, რადგან ორი დანაშაული ჩაიდინა ჩემმა ერმა: მიმატოვეს მე, ცოცხალი წყაროსთვალი და ამოკვეთეს თავისთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ“ (იერ. 2:12-13). ცხადია, „წყაროსთვალი“ თვით შემომქმედი ღმერთია, ხოლო დანგრეულ ჭებში, უკვე იმ დროისათვის სრულიად დრომოჭმული და უვარგისი კერპთაყვანისმცემლური რწმენა და აზროვნება იგულისხმება.

უფრო შთამბეჭდავ შინაარსს იძენს წყალი და ღვთის სამართალი ახალ აღთქმაში. მოციქული პეტრე ნოეს დროინდელ წარღვნასთან დაკავშირებით და ადამიანთა შემდგომი ცოდვების შესახებ ბრძანებს:

„რადგანაც საკუთარი ნებასურვილით ივიწყებენ, რომ ცა და მიწა თავდაპირველად წყლისაგან და წყალთა შუა შეიქმნა ღვთის სიტყვით, ამიტომაც მაშინდელი სამყარო წყლით წაირღვნა და დაიღუპა. ახლანდელ ცასა და მიწას კი ცეცხლისათვის ინახავს იგივე სიტყვა, რათა განკითხვის დღეს მოსრას უღვთონი“ (2 პეტ. 3:5-7). რაღა თქმა უნდა, ეს უღმრთონი ამ გარდაუვალ ჭეშმარიტებას ვერ აღიქვავენ.

წყლის ნამდვილ მაღალ ბუნებას, რასაც ცოცხალი წყალი ჰქვია, იოანეს სახარებასა და გამოცხადებაში ვხედავთ. უკვე განმზადებული და სულიერების მაძიებელი კაცობრიობისათვის ნათქვამია:

„მიუგო იესომ და უთხრა მას: რომ იცოდე ღმრთის ნიჭი, ან ვინ გეუბნება, წყალი დამალევინეო, თვითონვე სთხოვდი და ცოცხალ წყალს მოგცემდა შენ“ (იოან. 4:10).

ანდა: *„დღესასწაულის უკანასკნელ, დიდ დღეს ადგა იესო, შეღაღადა და თქვა: ვისაც სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას. ვისაც სწამს ჩემი, როგორც ამბობს წერილი, მისი მუცლიდან წარმოდინდებიან ცოცხალი წყლის მდინარენი. ესა თქვა სულზე, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო მათზე სული, რადგან ჯერ კიდევ არ განდიდებულიყო იესო“* (იოან. 7:37-39).

გავიხსენოთ კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი იოანეს სახარებიდან: *„ფარისეველთა შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდემე, იუდეველთა მთავარი, რომელიც ღამით მივიდა იესოსთან და უთხრა: რაბი, ვიცით, რომ ღმრთისაგან მოსულხარ მოძღვრად, ვინაიდან არავის შეუძლია შენს მიერ მოხდენილ სასწაულთა ქმნა, თუკი მასთან არ არის ღმერთი. ხოლო იესომ მიუგო: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმრთის სასუფეველს. უთხრა მას ნიკოდემემ: როგორ შეიძლება დაიბადოს მოხუცი კაცი? ხომ არ შეუძლია ხელმეორედ შევიდეს დედის საშოში და კვლავ დაიბადოს? მიუგო იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში. ხორცის მიერ შობილი ხორცია და სულის მიერ შობილი – სული. ნუ გიკვირს, რომ გითხარი: ხელახლა უნდა დაიბადოთ-მეთქი“* (იოან. 3:1-7).

როგორც ჩანს, არც ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს და დაგვავიწყდეს, რომ ახლებურად დაბადება და ცხოვრება გვმართებს. უფლის მიერ წყლის გაყოფით დაწყებული საქმე ჩვენს არსში სულიერი დაბადებით უნდა განვახორციელოთ.

მყარის საშუალებით წყლის განყოფის ჭეშმარიტი ბიბლიური ამბავი კი რომელიც მეორე დღეს დაიწყო, ახალ აღთქმაში ასეთ დასრულებულ სახეს იღებს. ადამის მოდგმის განვითარებასთან ერთად წყალიც ახლებური ფუნქციით წარმოგვიდგება:

„და მიჩვენა სიცოცხლის წყლის მდინარე, კამკამა, როგორც ბროლი, რომელიც მოედინებოდა ღვთისა და კრავის ტახტიდან“ (გამოცხ. 22:1); *„სული და სასძლო ამბობენ: მოდი! მსმენელმაც თქვას: მოდი! მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს სიცოცხლის წყალი“* (გამოცხ. 22:17).

მესამე დღეს უფალმა ცისქვეშეთის ცალკეულ ადგილებში შეაგროვა წყალი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაზე შეიზღუდა წყლის მფლობელობა. განცალკევდა ზღვა და ხმელეთი, ანუ ცალკეულ ადგილებში, იქ სადაც ზღვა იყო, გაჩნდა მიწა. ფსალმუნში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ ნაბრძანებია: უფალმა *„დააფუძნა დედამიწა თავის საძირკვლებზე, არ მოირყევა უკუნისამდე“* (ფსალმ. 103:5). შემდეგ განაგრძობს მეფსალმუნე: უფალო *„უფსკრულით, როგორც სამოსელით, დაფარე იგი; მთებზე დგას წყლები. შენი შერისხვით მიიქცევიან, შენი ქუხილის ხმაზე ილტვიან. ადიან მთებზე, ჩადიან ველებზე, იმ ადგილას, სადაც დაუფუძნე. საზღვარი დადე – ვერ გადალახავენ, ვერც დაბრუნდებიან დედამიწის დასაფარავად. გაუშვი წყაროები ხევებში, რომ მთებს შორის იდინონ“* (ფსალმ. 103:6-10).

დაბადების მესამე დღის შესახებ დეკანოზი სერაფიმე სლობოცკი წერს: შემდეგ დედამიწა ახლებურად ისე მოეწყო, რომ მასზე გაჩნდა პირველქმნილი, მცენარეული სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა. წმინდა წერილში კი ვკითხულობთ:

„თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. წარმოშვა მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით. იყო საღამო, იყო დილა – მესამე დღე“ (დაბ. 1:9-13).

შემდეგ მამა სერაფიმე წერს: წყლისა და მყარის განყოფა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილ ფორმებად ჩამოყალიბებული ამ სტიქიების უბრალო გაყრა. წყლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ის ქიმიური შემადგენლობა და ბუნება, როგორითაც ისინი დღეს ჩვენთვის არიან ცნობილნი. **ჯერ ერთი,** უფლის შემოქმედებითმა სიტყვამ უგვანო, უწესრიგო და მოუწყობელი ნივთიერებები გარდაქმნა ორ ძირითად სახედ, მათგან შეიქმნა მაცოცხლებელი ძალის შემცველი მიწა და წყალი. მიწის ძალა კი დასაწყისშივე იმაში აისახა, რომ მის სხეულზე გაჩნდნენ სხვადასხვა სახის წყალსატიხრები: მიწისქვეშა წყლები, მდინარეები, ტბები და ზღვები. ამ დღეს განხორციელებული **მეორე** უმნიშვნელოვანესი მოვლენა ის იყო, რომ დედამიწა შეიმოსა გამჭვირვალე ატმოსფერული ჰაერის სამოსით, გაჩნდა სიცოცხლის განვითარებისათვის აუცილებელი სხვადასხვა შემადგენლობის აირი. **მესამე,** რაც ამ დღეს ღვთის სიტყვით განხორციელდა, იყო ის სიმდიდრე, რაც თვითონ მიწამ დაიტია: მთებთან, ველებთან და უფსკრულებთან ერთად ეს იყო დედამიწის სხვადასხვა ფენები, მეტალები, მინერალები და სხვა. **მეოთხე** იყო შემოქმედის განკარგვა, რის შედეგადაც მესამე დღეს *„წარმოშვა მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით“*.

წმინდა წერილი მესამე დღეს, მხოლოდ დედამიწაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ გვამცნობს; მაგრამ, – განაგრძობს მამა სერაფიმე, – ვინაიდან მეორე და მეოთხე დღეს, უფალი მთელ სამყაროში მოქმედებს, ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დედამიწასთან ერთად, სწორედ მესამე დღეს შეიძინა ყველა ბნელმა და ქაოტურმა ზეციურმა სხეულმა საკუთარი დანიშნულების შესაბამისი სახე, მითუმეტეს ჩვენ ვიცით, რომ დედამიწა მთელ სამყაროში მხოლოდ ერთი უმრწემესი წერტილია და შეუძლებელია მესამე დღე მთლიანად დედამიწას დათმობოდა.

ამრიგად, მესამე დღის დასაწყისში დედამიწა სრულად წყლით დაფარულ სხეულს წარმოადგენდა (საგულისხმოა, რომ ყოველგვარი ჩანასახიც თვითგანხორციელებას სითხეში იწყებს). *„თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე“* (დაბ. 1:9). შესქელებული და ნელ-ნელა გაციებადი სითხის მასა, თავისი შემადგენლობის შესაბამისად, ცალკეულ ადგილებში ზემოთ ამოვიდა, სხვა შემთხვევაში კი სიღრმეებისაკენ გაემართა; ზეაღმართული ადგილები წყლისაგან განთავისუფლდა და ხმელეთის სახე მიიღო, ხოლო სიღრმეები სითხით აივსო. *„ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა“* (დაბ. 1:10). მაგრამ, მიწა ჯერ არ ფლობდა იმ უმთავრეს თავისებურებას რისთვისაც იგი შეიქმნა: მასზე ჯერ არ სუფევდა სიცოცხლე, დასაწყისში მხოლოდ შიშველი და უსიცოცხლო კლდეები დაჰყურებდნენ წყლების სათავსებს. და მაშინ, როდესაც დასრულდა წყლის სიცოცხლისუნარიან ნივთიერებად ჩამოყალიბება, წყლები განაწილდნენ ხმელეთთა შორის და როდესაც ზოგადად სიცოცხლისათვის საჭირო პირობები განმზადდა, *„თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. წარმოშვა მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე. წარმოშვა მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით“* (დაბ. 1:11-12).

ამგვარად, გამოთქმული ღვთის ნების შემდეგ დედამიწა პირველად დაიფარა მცენარეული საფარით. მეცნიერთათვის ცნობილია ის პირველი მცენარეები და გაოცებას იწვევს მათი უზარმაზარი ზომები. მაგალითად, ის მორჩილი მცენარე, რომელსაც ჩვენ დღეს გვიმრას ვუწოდებთ, დედამიწის განვითარების პირველ ეტაპზე, სხვაგვარად მესამე დღეს, უსაშველოდ დიდი ხე იყო. დღევანდელი ხავსის წვრილი ძაფები, იმ დროს სისქით ორ მეტრს აღემატებოდა.

რა თქმა უნდა ყველა ეს საოცრება ჩვენი, ადამიანური, ლოგიკით ძნელად განიმარტება, მაგრამ როგორც მოციქული პავლე ბრძანებს, ჩვენ, ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, რწმენაც გაგვაჩნია, რაც *„არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით და წვდომა უხილავისა“*. თუ ყურადღებით მოვეკიდებით სხვა საოცრებებს, გაგვიჩნდება სამართლიანი კითხვები: განა მოსემ, ვინც დაბადების ეს პირველი დღეები აღწერა, არ იცოდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანური თვალსაზრისით, მცენარის აღორძინებასა და ზრდას მზე ესაჭიროებოდა? ანდა შეიძლება დავუშვათ, რომ ან თვითონ მოსეს, ან ბიბლიის ტექსტის მრავალ გადამწერს არ ესმოდათ, რომ წყლით გაჟღენთილი ნიადაგის გამოშრობას, ჩვეულებრივ პირობებში, აუცილებლად მზის მცხუნვარება დასჭირდებოდა? მაგრამ სული წმიდას ძალით მათ ის აღწერეს, რაც ჩაესმათ. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ჩანასახს საწყის ეტაპზე სრული სიბნელე და ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის ძალა ესაჭიროება. ეს ძალა კი სული წმინდაა, რომელიც *„იძვროდა წყლებს ზემოთ“* და იმ წმინდანებს ზემოთ, რომელთა ხელითაც წმინდა წერილი იწერებოდა.

მესამე დღის საოცრებათა შორის კიდევ ერთი ის გახლავთ, რომ ღვთის შესაქმესთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, ღვთის განკარგვით საგანთა თვითმოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი თავისი სიტყვით აღასრულებს და სული წმიდით განასრულებს; უფალი ყველაფერს მაინც აძლევს ძალას და ყოველივე მაინც თვითონ აღორძინდება. ნათქვამია: *„წარმოშვა მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით“* (დაბ. 1:12).

მოციქული მარკოზი ბრძანებს: *„მიწას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ღერო, შემდეგ თავთავი, ბოლოს, სავსე მარცვალი თავთავში“* (მარკ. 4:28). შესაბამისად, ყოველი მცენარე თავისი გვარისდა მიხედვით სრულყოფისაკენ თვითონ მიილტვის. დასაწყისში მცენარეები არ გამოირჩეოდნენ ისეთი სისრულით, როგორებსაც მათ ადამის გვერდით, სამოთხის ბაღში დავინახავთ. ფორმით ეს იყო მწვანე ფერის უზარმაზარი მცენარეები; ამავე დროს, მათ ზრდაში გარკვეული უწესრიგობა სუფევდა. როგორც მამა სერაფიმე სლობოდკეკი ბრძანებს, ალბათ ჩვეული წესრიგისათვის საჭირო იყო მანათობლები: მზე, მთვარე და ვარსკვლავები, რომელიც უფალმა მომდევნო დღეს შექმნა.

და ადამიანი რომლისთვისაც ყოველივე შეიქმნა.

მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ წმინდა ამბროსი მედიოლანელი წერს: *„მანამდე, სანამ მზის ნათელი მოეფინებოდა ქვეყანას, შექმნილი არსნი აღმოცენდნენ, რადგან მზის ნათელზე უწინარესად ღვთის ნათელი უკვე არსებობდა. და იმისათვის რათა არ გაჩნდეს მეტი მიზეზი ადამიანთა ცდომილებისა ღვთისაგან ითქვა: „აღმოაცენოს მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე“* (დაბ. 1:11). *„დაე ყველასათვის იყოს ცნობილი,* – განაგრძობს წმინდა ამბროსი, – *მზე მცენარეთა აღორძინების მიზეზს არ წარმოადგენს... როგორ შეიძლებოდა მზეს მცენარეთა სიცოცხლე წარმოექმნა მაშინ, როდესაც ეს სიცოცხლე უკვე თვით უფლის შემოქმედებითი ძალით იყო შექმნილი მანამდე სანამ ამავე ძალით მზე შეიქმნებოდა და თავისი ქმედითი უნარით გამოვლინდებოდა? ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ მზე უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე მცენარეთა ყლორტები და ბალახი“* (ციტატა მამა სერაფიმე როუზის წიგნიდან: *Православное понимание книги Быти . М. 1998. Стр. 53*).

ბოლოს, გვსურს გავიხსენოთ მეფსალმუნე მეფე დავითის სიტყვები და შევუერთდეთ მის წმინდა სურვილს:

და *„რადგან უფალი არის დიდი ღმერთი და მეფე – ყველა ღვთაებაზე აღმატებული, რადგან მის ხელთაა სიღრმენი მიწისა და მთების ძლიერება მისია, რადგან მისია ზღვა – მან შეჰქმნა იგი და ხმელეთი მის ხელთა ქმნილებაა, მოდით, თაყვანი ვცეთ და მოვიხაროთ, მუხლი მოვიდრიკოთ ჩვენი შემქმნელი უფლის წინაშე“* (ფსალმ. 94:3-6).

„აფხაზეთობა“

2009 წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში აფხაზეთის კულტურის დღეების დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მუზეუმის კოლხური საცხოვრებელი ნაგებობების (სამეგრელო, გურია, იმერეთი, აფხაზეთი) მთელი კომპლექსი ნათლად წარმოაჩენდა აფხაზური კულტურისა და ხელოვნების ფართო სპექტრს: აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა; ფოტოგამოფენა – აფხაზეთის ისტორია მე-19 საუკუნე; აფხაზეთის სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა; ხალხური რეწვისა და ბავშვთა ნახატების გამოფენა; სიმღერისა და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები.

აფხაზეთის კულტურის დღეების დახურვის ცერემონიალის მთავარი მოვლენა იყო აღდგენილი აფხაზური ოდა-სახლის „აკუასკას“ ახალი ექსპოზიციის პრეზენტაცია, რომელიც განხორციელდა იუნესკოსა და ნორვეგიის მთავრობის ხელშეწყობით საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად. როგორც მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, **დავით ჟვანიამ** აღნიშნა: „მომავალში ამ ოდა-სახლს დიდი დატვირთვა ექნება, იგი უნდა იქცეს განათლებისა და კულტურის კერად“.

აფხაზეთის მთავრობის, ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, „აფხაზეთობა“ მიულოცეს შეკრებილ საზოგადოებას, აფხაზეთის კულტურის მუშაკებმა კონცერტი გამართეს, ახალგაზრდებმა ინსცენირებული აფხაზური ქორწილი წარმოადგინეს.

აფხაზური ოდა-სახლი 1911 წელს ლაზ ოსტატებს ძველი დასავლური ქართული სამშენებლო ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობით აუგიათ. სახლი აფხაზ თავადს, შმაფ აჩბას (ანჩაბაძე) ეკუთვნოდა და ანდერძით დაუტოვებია თავის მორდუსთვის – გამზრდელისთვის, რომლის შვილიშვილისგანაც (ალიოშა კვარჩია) შეიძინა მუზეუმმა.

გენო კალანდია, პოეტი: რა თქმა უნდა გულდასაწყვეტია, რომ 17 წლის შემდეგადაც დევნილები ვართ, მაგრამ კარგია, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება, განათლების სამინისტრო, მხატვართა კავშირი ცდილობენ თავი მოგვიყარონ გაბნეულებს, რათა სიყვარული არ განელდეს. ასეთი ღონისძიებები განსაკუთრებით აუცილებელია მომავალი თაობისთვის, ვინც დევნილობაში დაიბადა ან იმდენად პატარებმა დატოვეს აფხაზეთი, რომ არც კი ახსოვთ იქაურობა. აქ წარმოდგენილი ექსპოზიციები – აფხაზ მხატვართა შემოქმედება, კულტურული ძეგლების ფოტოსურათები – ბიჭვინთა, ილორი, ბედია – ტრადიციების ჩვენება, შეხვედრები, საუბრები საჭიროა იმისთვის, რომ აფხაზეთი მუდამ იყოს მათ სულში და წარმოსახვაში...

გია ანჩაბაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი: ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი დღეა. ვიცოდი, რომ არსებობდა ანჩაბაძეების სახლი, მაგრამ ნანახი არ მქონდა. იგი თბილისსაც მოუხდა. ეთნოგრაფიულ მუზეუმში მის არსებობას, ძირითადად, ემოციური დატვირთვა აქვს აფხაზეთან და აფხაზებთან დაახლოების თვალსაზრისით. მომავალი თაობისთვის ეს პატარა ეთნოგრაფიული სინამდვილეა.

ლორიკ მარშანია, პროფესორი: აფხაზეთში ახლა ძალიან მძიმე ვითარებაა. აფხაზეთელების დანარჩენ საქართველოსთან დაშორება არაფრით არ შეიძლება. იქაური მოსახლეობის 40 პროცენტი შერეული ოჯახებია, რომლებიც დევნილი არიან აფხაზეთიდან. იქაურობა ახლა რუსებისა და სომხების მფლობელობაშია. თუ უახლოეს მომავალში არ დაიწყო დაბრუნების პროცესი, საქართველო დარჩება ამ ულამაზესი კუთხისა და ხალხის გარეშე.

რაც შეეხება აი ამ აფხაზურ, ანჩაბაძეების ოდა-სახლს, იგი 12 წლის წინ ჩამოვიტანეთ ოჩამჩირიდან (მე დედა მყავდა ანჩაბაძე). იგი ჩვენი შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის ადგილად უნდა იქცეს. სამწუხაროდ, არც ჩვენ და არც ენგურის გაღმა დარჩენილ ხალხს უკვე არავინ არაფერს გვეკითხება, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ, ყველა არძინბა და სეპარატისტი ხომ არ არის, 100 000-დან ასეთი შეიძლება 50 იყოს, ჩვენ ისინი აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ.

ჯემალ შერვაშიძე: აფხაზი ერი რომ ჯერ კიდევ არსებობს, ეს ჩემი წინაპრების – შერვაშიძეების, ანჩაბაძეების, მარშანიების, ძირძველი აფხაზების დამსახურებაა. ჯერ კიდევ 20 წლის წინ, როცა ვითარება იძაბებოდა აფხაზეთში, ვუთხარი ზურაბ აჩბას – რას აკეთებთ, რა პასუხს გასცემთ ჩვენი წინაპრების სულებს აფხაზი ეთნოსის გაქრობისათვის-მეთქი. ახლაც ამ აზრზე ვარ. მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი საქართველოსთან თანაცხოვრებაა, ჩვენ უნდა გავუხანგრძლივოთ აფხაზებს სიცოცხლე, საერთაშორისო საზოგადოების თანადგომითა და ძალისხმევით. დღეს ბევრი აფხაზი ხვდება, ნანობს და განიცდის, რომ რუსეთმა აიხდინა დიდი ხნის ოცნება, მაგრამ რაიმეს შეცვლა მათ ძალებს აღემატება. ეს ოდა-სახლი იმის სიმბოლოა, რომ ქართველთა და აფხაზთა ასე ხელოვნურად, ძალით ერთმანეთისგან მოწყვეტა არაფრით არ შეიძლება.

გია გვაზავა, ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: აფხაზეთის კულტურის დღეების ჩატარებით, აფხაზური ოდა-სახლის გახსნით, ერთი მხრივ, მსოფლიო საზოგადოებას გვინდა ვაჩვენოთ, რომ სწორედ ჩვენ ვართ პარალელური აფხაზეთი, ვისაც უნდა ელაპარაკონ, მეორე მხრივ, აფხაზ ძმებს ვუგზავნით მესიჯს, რომ ერთგულნი ვართ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ჩვენი საერთო ტრადიციების, გვახსოვს, გვიყვარს და ვინახავთ მათ. ეს არის ამ დღის მთავარი დატვირთვა. რაც გაკეთდა შეხსენების ერთ-ერთი საშუალებაა და ვისაც ახსოვს, იმას სტკივა კიდეც, ენგურს იქით და ენგურს აქეთ. იქ დარჩენილი აფხზების ამ კულტურით, ტრადიციებით ცხოვრების საშუალება უფრო და უფრო ნაკლები ექნებათ მომავალში. ის გაურკვეველი, სუროგატი კულტურა, რაც დღეს აფხაზეთში შედის, მათი დაღუპვის საწინდარია. აქ კი ჩვენ ყველაფერს ვინარჩუნებთ, რაც ერთად შეგვიქმნია. დედამიწაზე 6000-მდე ენა არსებობს. ყოველ 10-15 დღეში იკარგება ერთი. თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვა, აფხაზურიც მილევად რეჟიმშია. თუ არ გავერთიანდით, ჩვენც დავიკარგებით.

სალომე ოქრუაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი, ეთნოლოგი: აფხაზური ოდა-სახლი, რომელიც რესტავრაციის შემდეგ დღეს გაიხსნა, ხანგრძლივი და მჭიდრო ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების ძეგლია. გარდა იმისა, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს საერთო სამშობლო გვაქვს, ოდითგანვე მტკიცე ნათესაური ურთიერთობები გვქონდა. თუნდაც ამიტომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

რაც შეეხება აფხაზურ ოდა-სახლს. ყველა ეთნოგრაფი, ვინც რაიმე იცის, ზოგადად, ნაგებობების შესახებ, დამეთანხმება, რომ აი, ამ ტიპის სახლებს ქართველები აკეთებდნენ. აფხაზები იწვევდნენ მეგრელებს, გურულებს, რაჭველებს, იმერლებს ასეთი ხის სახლების ასაშენებლად. თუმცა ერთი მცირე სხვაობა იყო – აფხაზები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სასტუმრო ოთახს (ასასაერთა), რომელიც ყველაზე ლამაზად მორთული, კომფორტული და აუცილებლად ბუხრით უნდა ყოფილიყო.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის პერიოდში, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, მთელი აფხაზეთი მოვიარე, თვეობით მიცხოვრია აფხაზურ ოჯახებში, არასოდეს დამავიწყდება ის სითბო და ყურადღება, რაც აფხაზი მასპინძლებისგან მიმიღია. გარდა ამისა, ყოველთვის დაუზარებლად გვიყვებოდნენ ყველაფერს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გვცოდნოდა აფხაზების შესახებ. აი, ეს ურთიერთობები უნდა აღდგეს და დაედოს საფუძვლად აფხაზეთის დაბრუნებას.

თეიმურაზ გვანცელაძე, პროფესორი, აფხაზური ენის სპეციალისტი, სოხუმის უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი: ჩვენი ინსტიტუტი შარშან დაარსდა და, ძირითადად, ახალგაზრდები მუშაობენ, მათ შორის ორი დევნილია. არანაირი სიძულვილი, პირიქით, მათ (და ჩვენც) კარგად იციან, რომ მომხდარში აფხაზი ხალხი დამნაშავე არ არის.

აფხაზური ენის კურსის სწავლება ივანე ჯავახიშვილის იდეა იყო; მას მიაჩნდა, რომ ყოველი განათლებული ადამიანი ვალდებულია, იცოდეს არა მარტო საკუთარი, არამედ მონათესავე ხალხების და ერების ისტორია. მაშინ ეს ვერ განხორციელდა ცნობილი მეცნიერის, პეტრე ჯარაიას გარდაცვალების გამო. ამ კურსის სწავლება უნივერსიტეტში 1924 წლიდან დაიწყო – ლექციებს კითხულობდა დიმიტრი გულია. იმ დღიდან მოკიდებული აფხაზური ენის სწავლება უნივერსიტეტში არასოდეს შეწყვეტილა. ამ კურსს ისეთი დიდი მეცნიერები კითხულობდნენ, როგორებიც იყვნენ სიმონ ჯანაშია და აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე, რომელსაც 60-ზე მეტი აფხაზი ენათმეცნიერი ჰყავს აღზრდილი. ისინი ამჟამად სოხუმში მოღვაწეობენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათი დიდი უმრავლესობა ქართველი ხალხის მოკეთეა.

მისასალმებელია, რომ დღეს აქ ასე ფართოდ წარმოჩინდა აფხაზური კულტურა და ტრადიციები. რაც მეტი ეცოდინება ჩვენს საზოგადოებას აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ, მით უკეთესი. ეს ჩვენი სამომავლო ურთიერთობისთვის აუცილებელია.

სვეტლანა ქეცბა, აფხაზეთის სულიერი კულტურის ცენტრი: დღევანდელ დღეს დიდი სევდაც ახლავს. არასოდეს მიოცნებია სხვაგან მეცხოვრა სოხუმის გარდა. ის ჩემი უსაყვარლესი ქალაქია, მაგრამ 17 წელია დევნილი ვარ.

ჩვენი ცენტრიც შეუერთდა აფხაზური კულტურის დღეებს და წარმოადგინა საკუთარი პროდუქცია. ექსპოზიციის მხოლოდ ნაწილი გამოვფინეთ. ტაძრები, ფრესკები, ფოტოსურათები, სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა. ჩვენ ამ ტიპის ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა გვაქვს, რომელიც ხელოვნების დიდმა მოყვარულმა, ვახტანგ ჯორჯიკიამ გადმოგვცა.

აქ წარმოდგენილია აგრეთვე ცენტრთან არსებული ქარგვის, ხატწერისა და მინანქრის შემსწავლელი წრეების მოსწავლეთა ნამუშევრები.

ანა ფირცხალაიშვილი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.